ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
ფინანსები და საბანკო საქმე

ანა ბართია

ინვესტიციების როლი ეროვნული წარმოების განვითარებაში

ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ეკონომიკის აკადემიური დოქტორი მოწვეული პედაგოგი
გელა წიკლაური

თბილისი
2020

ანოტაცია

ინვესტიციების როლი ეროვნული წარმოების განვითარებაში

ანა ბართია

ინვესტიციები თანამედროვე ეკონომიკის განუყოფელი ნაწილია. ისინი ქვეყნის ეკონომიკის ზრდის, განვითარებისა და ეფექტიანობის ამაღლების უმთავრესი წინაპირობაა. ინვესტიციების მეშვეობით ქვეყანაში იზრდება წარმოების მოცულობა, იქმნება სამუშაო ადგილები, ხდება მოწინავე ტექნოლოგიებისა და მეთოდოლოგიის დანერგვა. ადგილობრივი და უცხოური კაპიტალის შერწყმის შედეგად შესაძლებელია ისეთი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტა, როგორიცაა განათლებისა და ჯანდაცვის სისტემის სრულყოფა, მცირდება უმუშევრობის დონე, მიმდინარეობს მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის მიღწევების დანერგვა, რაც საბოლოო ჯამში, განაპირობებს მოსახლეობის ცხოვრების დონის ზრდას.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობა დამოკიდებულია ქვეყანაში არსებულ საინვესტიციო გარემოსა და მთავრობებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ ღონისძიებებზე. ქვეყანაში ძლიერი ინსტიტუტებისა და სტაბილური საკანონმდებლო ბაზის არსებობა განაპირობებს წარმატებული ბიზნეს გარემოს ფორმირებას.

სამაგისტრო ნაშრომში განხილულია ინვესტიციების როლი ეროვნული წარმოების განვითარებაში, წარმოდგენილია სტარტაპ ბიზნესის არსებობისა და მისი ზრდა-განვითარების მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკისთვის. მიმოხილულია ქვეყანაში არსებული მსხვილი საინვესტიციო ფონდები და მათ მიერ დაფინანსებული მასშტაბური პროექტები, გაანალიზებულია ქვეყანაში ბოლო ათწლეულის მანძილზე მოზიდული ინვესტიციების დინამიკა, სახელმწიფოს მიერ ინვესტიციების დაბანდებისა და სტარტაპების ხელშეწყობისთვის განხორციელებული ღონისძიებები და ის გამოწვევები, რომლებიც აღნიშნული მიმართულებით დგას ქვეყნის წინაშე.

Annotation

The role of investment in the development of national production

Ana Bartia

Investments are an essential part of the modern economy. They are a key precondition for the growth, sustainability and efficiency of every country's economy.

Through the inflow of direct foreign investments the production volume in the country increases, jobs are created, advanced technologies and methodologies are introduced. Due to merger of the local and foreign capital, it is possible to solve socio-economic problems such as improving education and healthcare system, reducing unemployment, implementing scientific and technological progress, which finally increases the living standards of the population.

The socio-economic welfare of each country depends on the investment climate and the measures taken by governments and international organisations. The existence of strong institutions and a stable legal framework in the country contributes to the formation of a successful business environment.

The Master's work discusses the influence of investment on the development of national production, the importance of startups and their growth and development for the country's economy. The paper rewievs the country's large investment funds and large-scale projects funded by them.

The Master's work also analyses the dynamics of investment in the country over the past decade, reviews the measures which have been implemented by the Government to promote the inflow of direct foreign investments and to support startups, and discusses the challenges facing the country.

შინაარსი

ანოტაცია 2
ANNOTATION 3
შინაარსი 4
შესავალი 5
თავი I. ინვესტიციები, როგორც ეკონომიკური კატეგორია და საინვესტიციო საქმიანობის სამართლებრივი რეჟიმი 7
1.1 ინვესტიციების ეკონომიკური არსი, მნიშვნელობა და მიზნები 7
1.2 საინვესტიციო საქმიანობის სამართლებრივი ბაზა და რეგულირების საკითხები 12
თავი II. საინვესტიციო აქტივობა და დინამიკა საქართველოში 20
2.1 ინვესიტიციები საქართველოში და მათი შეფასების ძირითადი პრინციპები 20
2.2 ინვესტირების პროცესში წარმოქმნილი პრობლემები და მათი აღმოფხვრის გზები 31
თავი III. ინვესტიციების მნიშვნელობა სტარტაპებისა და ეროვნული წარმოების განვითარებაში 37
3.1 საინვესტიციო გარემო საქართველოში: რეალობა და განვითარების გზები 37
3.2 სტარტაპების სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამები და საინვესტიციო ფონდები, როგორც საინვესტიციო აქტივობის ძირითადი ფაქტორი 45
დასკვნა 58
გამოყენებული ლიტერატურა 62
დანართი 65

შესავალი

თემის აქტუალურობის დასაბუთება. ქვეყნის ეკონომიკაში საინვესტიციო საქმიანობის სრულყოფა და საინვესტიციო პოტენციალის განვითარება საბაზრო ურთიერთობების დამყარებისა და ეკონომიკური წინსვლის უმთავრესი ფაქტორია. მსოფლიო გამოცდილება ცხადჰყოფს, რომ ქვეყნის განვითარების სასურველი პარამეტრების უზრუნველყოფის, არსებული ეროვნული და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარების საქმეში ინვესტიციები, რაციონალური საინვესტიციო გარემო და შესაბამისად, ინვესტიციური აქტიურობა მნიშვნელოვანს როლს ასრულებს. საინვესტიციო პოლიტიკის გატარება აგვარებს არაერთ სოციალურ პრობლემას, კერძოდ, იქმნება ახალი სამუშაო ადგილები, იზრდება მოსახლეობის ცხოვრების დონე, უმჯობესდება მეცნიერულ–ტექნიკური ბაზა, მიმდინარეობს ჯანმრთელობის დაცვისა და საგანმანათლებლო სისტემის სრულყოფა და ა.შ.

სახელმწიფოსთვის უმნიშვნელოვანესია პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა მოზიდვა, ადგილობრივი და უცხოური კაპიტალის შერწყმა და მათი ეფექტიანი განთავსება. ადგილობრივი და საერთაშორისო საინვესტიციო ფონდებისა და სტარტაპ ეკოსისტემის განვითარება დიდად უწყობს ხელს ქვეყანაში ეკონომიკურ ურთიერთობათა დაბალანსებას, სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და ეკონომიკურ ზრდას.

2020 წელი ჯანდაცვის სექტორთან ერთად განსაკუთრებულად რთული აღმოჩნდა ეკონომიკური სექტორისთვისაც. ახალი კორონა ვირუსის პანდემიის გავრცელება საერთაშორისო ეკონომიკის უამრავ დარგზე ნეგატიურად აისახა. სამაგისტრო ნაშრომი მიმოიხილავს Covid 19-ის გავლენას ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაზე და იმ ეკონომიკურ ზარალს, რომელიც ვირუსის გამო მთელს მსოფლიოს მიადგა, რამაც საბოლოო ჯამში, გავლენა მოახდინა ინვესტორთა გადაწყვეტილებებზე.

კვლევის ობიექტი. კვლევის ობიექტია საინვესტიციო სექტორი, ასევე, საინვესტიციო საქმიანობის ეკონომიკური და სამართლებრივი საფუძვლების თეორიულ-პრაქტიკული შესწავლა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების მიზნით გარკვეული რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის მიზანი და ამოცანები. სამაგისტრო ნაშრომის მიზანია ეკონომიკური განვითარებისთვის ინვესტიციების, სტარტაპ ბიზნესისა და საინვესტიციო ფონდების საქმიანობის შესწავლა, ხოლო კვლევის ამოცანაა ამ კუთხით საქართველოში არსებული პრობლემების ანალიზი და ანალიზის საფუძველზე საინვესტიციო სფეროში წარმოქმნილი სირთულეების მოგვარებისა და სტარტაპ ბიზნესის მხარდამჭერი ღონისძიებების დასახვა.

კვლევისთვის გამოყენებული მეთოდები. სამაგისტრო ნაშრომი დაფუძნებულია ინვესტიციების შესახებ ქართველი და უცხოელი მეცნიერ-ეკონომისტების ნაშრომებზე, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის, საქართველოს ეროვნული ბანკის, საქართველოს ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, საქართველოს პარლამენტის კანონქვემდებარე და ნორმატიული აქტების საფუძველზე ჩატარებულ თვისობრივ და რაოდენობრივ კვლევაზე. სამაგისტრო ნაშრომის საკვლევი პრობლემის პრაქტიკული მნიშვნელობის გათვალისწინებით, გამოყენებულ იქნა კვლევის სისტემური, ისტორიული და ლოგიკური განზოგადების მეთოდები. ასევე, გამოყენებულია ანალიზისა და სინთეზის მეთოდი.

კვლევის სიახლეები. ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის, განვითარებისა და ეფექტიანობის ამაღლებისთვის მნიშვნელოვანია უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციების მოზიდვა და მათი ეფექტიანი განთავსების ორგანიზება. სტარტაპ ბიზნესებისა და საინვესტიციო ფონდების მხარდაჭერას უდიდესი გავლენის მოხდენა შეუძლია საინვესტიციო აქტივობაზე, როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო საინვესტიციო რესურსების მოზიდვის თვალსაზრისით. ნაშრომში განხილულია ქვეყანაში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა, საინვესტიციო აქტივობის ხელშემწყობი და შემაფერხებელი ფაქტორები, დასახულია ის ღონისძიებები, რაც უნდა გაატაროს სახელმწიფომ სტაბილური და ლიბერალური საინვესტიციო გარემოს შესაქმნელად. სამაგისტრო ნაშრომში ჩამოყალიბებული დასკვნებისა და რეკომენდაციების პრაქტიკული რეალიზაცია გაზრდის ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობას და კაპიტალის დაბანდების შესაძლებლობებს.

თავი I. ინვესტიციები, როგორც ეკონომიკური კატეგორია და საინვესტიციო საქმიანობის სამართლებრივი რეჟიმი

1.1 ინვესტიციების ეკონომიკური არსი, მნიშვნელობა და მიზნები

ინვესტირება წარმოადგენს თავისუფალი საინვესტიციო რესურსების (ფულადი, მატერიალური და სხვა სახსრები) ეკონომიკის სხვადასხვა დარგის საწარმოებში დაბანდებას გრძელვადიან მიზანთა რეალიზების, მოგებისა და სოციალური ეფექტის მისაღებად. თუკი სიტყვის ეტიმოლოგიას გავეცნობით, იგი ლათინურიდან მომდინარეობს (investire-შემოსვა). ეკონომიკურ ლიტერატურაში ინვესტიციების მრავალ სხვა განმარტებას შევხვდებით, კერძოდ, უ. შარპის და ჯ. ბეილის წიგნში „ინვესტიციები“ ინვესტირების პროცესის შემდეგნაირადაა განმარტებული: *„ფულთან განშორება დღეს, ხვალ უფრო მეტის მიღების მიზნით“*[1].

ინვესტიციები ქვეყნის ეკონომიკის ზრდა-განვითარების უმნიშვნელოვანეს დეტერმინანტს წარმოადგენს. მათი მეშვეობით მიიღწევა საწარმოო, ინოვაციურ და სოციალურ პროექტთა რეალიზაცია, იზრდება წარმოების მოცულობა და ეფექტიანობა.

ინვესტირებისას ხდება საკუთარი ან მოზიდული და ნასესხები სახსრების გამოყენება. ინვესტირების მიზნები შეიძლება მრავალფეროვანი იყოს. საინვესტიციო საქმიანობის ძირითადი სუბიექტი არის ინვესტორი. ინვესტორის როლში შეიძლება გამოვიდნენ:[2]

- ფიზიკური და იურიდიული პირები;
- სტატუსის არმქონე გაერთიანებები;
- სახელმწიფო ორგანოები;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები;
- უცხოელი სუბიექტები.

არსებობენ ინდივიდუალური, ინსტიტუციონალური, სტრატეგიული და პორტფელური ინვესტორები. *ინდივიდუალური ინვესტორები* არიან ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც თავად ახორციელებენ ინვესტირებას.

---

[1] Шарп У,Александр Б., Бэйл Дж.Инвестиции. М.: ИНФРА-М, 1997, გვ. 8

[2] გიორგაძე თ. „ინვესტიციური პროცესების ძირითადი ტენდეციები“; 2001 წ.

ინსტიტუციონალური ინვესტორები საფინანსო შუამავლებს წარმოადგენენ, რომლებიც ინდივიდუალური ინვესტორებისაგან ინვესტიციების აკუმულირებასა და შემდეგ განთავსებას ახდენენ. *სტრატეგიული ინვესტორები* სტრატეგიულ მიზანს ისახავენ, მაგალითად, სხვა საწარმოს აქციების საკონტროლო პაკეტის ან/და მისი საწესდებო კაპიტალის უდიდესი ნაწილის დაუფლებას. *პორტფელური ინვესტორები* სხვადასხვა აქციებში ინვესტირებით ინვესტიციების პორტფელს ქმნიან, რათა დაიცვან თავი ერთი ტიპის აქტივებში ინვესტირებისას წარმოქმნილი შესაძლო რისკისგან.

მაკროდონეზე ინვესტიციები მოკლევადიან პერიოდში ერთობლივ მოთხოვნაზე ზემოქმედებით წარმოების მოცულობაზე ახდენს გავლენას[3], ამასთან იგი კაპიტალწარმოქმნაზე ზემოქმედებით გავლენას ახდენს გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდაზე, ხელს უწყობს მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის დაჩქარებას, უზრუნველჰყოფს ქვეყნის პროდუქციის კონკურენტუნარიანობასა და ხარისხის გაუმჯობესებას, არის ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნის საფუძველი, გვევლინება, როგორც სოციალური სფეროს, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის, გარემოს დაცვის და უმუშევრობის პრობლემების აღმოფხვრის ხელშემყობ ფაქტორად.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინვესტიციების როლი მიკროდონეზე. საწარმოთა ნორმალური ფუნქციონირებისა და მეურნე სუბიექტების ფინანსური სტაბილურობის მისაღწევად უმნიშვნელოვანესია გააზრებული საინვესტიციო პოლიტიკის განხორციელება.

საინვესტიციო საქმიანობის მაკრო და მიკროეკონომიკურ ჭრილში შესწავლისათვის აუცილებელია დეტალურად გაანალიზდეს ინვესტიციების სახეები და ტიპები.

ინვესტორთა მონაწილეობის მიხედვით, ინვესტიციები პირდაპირ და არაპირდაპირ ინვესტიციებად იყოფა. პირდაპირი ინვესტირების დროს იგულისხმება ინვესტირების პროცესში უშუალო მონაწილეობა. ინვესტირება სხვა პირების ანუ შუამავლების მეშვეობით მიიჩნევა, როგორც არაპირდაპირი ინვესტიცია.

ინვესტირების პერიოდის მიხედვით მოკლე, საშუალო და გრძელვადიან ინვესტიციებს გამოყოფენ. გრძელვადიან ინვესტიციად მიიჩნევა კაპიტალის დაბანდება

[3] ლეიაშვილი პ. „ეკონომიკსი“, გვ. 317

სამი ან სამზე მეტი წლით, 1-3 წლის ვადით დაბანდება საშუალოვადიან ინვესტიციად კლასიფიცირდება, ხოლო ერთ წლამდე ხანგრძლივობის დაბანდებები მოკლევადიან ინვესტიციებად მიიჩნევა.

გეოგრაფიული ნიშნით განასხვავებენ შიდა (ადგილობრივ) და გარე (საზღვარგარეთიდან მოზიდულ) ინვესტიციებს. შიდა ინვესტიციები, სახელწოდებიდან გამომდინარე, სახელმწიფოს შიდა ტერიტორიაზე, ხოლო გარე ინვესტიციები კი ქვეყნის ფარგლებს გარეთ განთავსებულ საინვესტიციო ობიექტებში ხორციელდება.

საინვესტიციო რესურსების ხასიათის მიხედვით განარჩევენ რეალურ, ფინანსურ და ინტელექტუალურ ინვესტიციებს. რეალური ინვესტიციები საწარმოო პოტენციალის ზრდისათვის, ძირითად კაპიტალსა და საბრუნავ საშუალებებში ინვესტირებას გულისხმობს, ფინანსური ინვესტიციების ქვეშ მოგების მიღების მიზნით ფასიანი ქაღალდების შეძენა მოიაზრება.[4] ფინანსურ ანუ პორტფელურ ინვესტიციებს "ცხელ ფულადაც" მოიხსენიებენ და იქიდან გამომდინარე, რომ იგი შესაძლოა იყოს მოკლევადიანი, კაპიტალის არასტაბილურ ნაკადებთან ასოცირდება. ფინანსური ინვესტორი რეციპიენტი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებას ახდენს და არასტაბილურობის შემთხვევაში გადის ქვეყნის ეკონომიკიდან.[5] ინტელექტუალური ინვესტიციები საშუალებას იძლევა კაპიტალის აღწარმოების სფეროში მინიმალური დანახარჯებით დაინერგოს თანამედროვე ტექნოლოგიები და უზრუნველყოფილ იქნას დაბანდებული თანხების მაღალი ანაზღაურებადობა. [6]

დაბანდების მიმართულების მხრივ არსებობს ინვესტიციები: 1. ფიზიკურ კაპიტალში (მოწყობილობები, მანქანები, შენობები და ინფრასტრუქტურა); 2. ფიქტიურ კაპიტალში (სავაჭრო მარკა, ლიცენზიები, პატენტები და სხვა); 3. ადამიანურ კაპიტალში (თანამშრომლების გადამზადება, პერსონალის განვითარება და მათი ცხოვრების დონის ამაღლება); 4. ტექნოლოგიურ კაპიტალში (მეცნიერულ-კვლევითი დაფინანსება) [7].

---

[4] ქოქიაური ლ. «საინვესტიციო საქმე"; 2010წ.

[5] სიხარულიძე დ., ჭარაია ვ. „უცხოური პირდაპირი ინვესტიციები" ;გვ 19; 2018წ.

[6] ხურცია ლ. „საინვესტიციო საქმიანობის საფინანსო-საკრედიტო რეგულირება საქართველოში" http://www.nplg.gov.ge/gsdl/

[7] ოქროცვარიძე ა. „მსოფლიო ეკონომიკა"; 2010წ.

თუკი ინვესტიციებს, კაპიტალური დაბანდებების ჭრილში განვიხილავთ, ისინი ძირითადი კაპიტალის შეძენასა და წარმოების გაფართოებას გულისხმობს. ინვესტიციები მიმართულია ეფექტიანობის ზრდისაკენ, ვინაიდან კაპიტალური დოვლათი მოიხმარება წლების განმავლობაში, ამიტომ ინვესტირების შესახებ გადაწყვეტილებები დამოკიდებულია:

- წარმოებულ პროდუქტზე არსებულ მოთხოვნაზე;
- არსებულ გადასახადებსა და საპროცენტო განაკვეთებზე, რომლებიც ინვესტირების ხარჯებს განაპირობებენ;
- მეწარმე სუბიექტების მოლოდინებზე ეკონომიკის საერთო მდგომარეობის შესახებ. [8]

თუ ინვესტიციების კლასიფიკაციას *საკუთრების ფორმით* მოვახდენთ, ისინი იყოფა კერძო, სახელმწიფო, უცხოურ და ერთობლივ ინვესტიციებად. კერძო ინვესტიციების ქვეშ მოიაზრება ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიერ კაპიტალის დაბანდება საკუთრების არასახელმწიფოებრივი ფორმით. სახელმწიფო ინვესტირებისას კი ხელისუფლების საინვესტიციო დაფინანსების წყაროს ბიუჯეტი, არასაბიუჯეტო ფონდები და ნასესხები საშუალებები წარმოადგენს.

უცხოური ინვესტიციები არარეზიდენტ ფიზიკურ და იურიდიულ სუბიექტთა მიერ კაპიტალის კონკრეტული ქვეყნის საკუთრებაში არსებულ ობიექტებსა და ფინანსურ ინსტრუმენტებში დაბანდებას გულისხმობს. იგი, თავის მხრივ, იყოფა *პირდაპირ* და *პორტფელურ* ინვესტიციებად.[9] პირდაპირი ინვესტირების დროს კაპიტალის დაბანდებისას, ინვესტორი აკონტროლებს საზღვარგარეთის ქვეყნების საწარმოებს. საერთაშორისო სავალუტო ფონდის თანახმად, თუ უცხოელი ინვესტორი ფლობს საწარმოს აქციების 25%–ს, ინვესტიციები მიიჩნევა პირდაპირად, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატების სტატისტიკის მიხედვით, იმისთვის, რომ ინვესტიციები ჩაითვალოს პირდაპირად აუცილებელია სააქციო კაპიტალის არანაკლებ 10%. პორტფელური ინვესტორი არ მონაწილეობს საწარმოს მართვაში. იგი კაპიტალს

[8] ლეიაშვილი პ. „ეკონომიკსი“,გვ: 318 2003წ.
[9] გამსახურდია თ. «ეკონომიკური პოლიტიკა და საინვესტიციო ურთიერთობების რეგულირების საკითხები“; 1999 წ; გვ. 309–317.

აბანდებს საზღვარგარეთის საწარმოების აქციებში, ობლიგაციებსა და სხვა ფასიან ქაღალდებში.

ინვესტირების პროცესს თან ახლავს რისკი და განუზღვრელობა, მნიშვნელოვანი ფინანსური დანახარჯები, უკუგება კი შესაძლოა რამდენიმე წლის შემდეგ იქნას მიღებული. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ინვესტირების დაფინანსების თემა. ეკონომიკურ ლიტერატურაში შევხვდებით ინვესტიციების დაფინანსების რამდენიმე მეთოდს, რომელიც მოიცავს თვითდაფინანსებას, საკრედიტო დაფინანსებას, შერეულ დაფინანსებას, აქციების ემისიას, ფრანჩაიზინგს, ლიზინგს და საპროექტო დაფინანსებას.

მცირე საინვესტიციო პროექტების განხორციელებას, ძირითადად მიმართავენ თვითდაფინანსების მეთოდს. დაფინანსება ხორციელდება შიდა წყაროების ხარჯზე. ზოგჯერ საწარმოები საინვესტიციო საქმიანობის დასაფინანსებლად გამოყოფენ საინვესტიციო საგადასახადო კრედიტს, რაც გადახდის გადავადებას წარმოადგენს. აქციონერული დაფინანსება საკრედიტო დაფინანსების ალტერნატივაა, თუმცა კრედიტს, როგორც ინვესტიციების დაფინანსების მეთოდს, უფრო ხშირად იყენებენ. ფრანჩაიზინგი ბაზარზე ფართოდ ცნობილი ფირმის მიერ მეორე ფირმისათვის ლიცენზიის გადაცემა ან მიყიდვაა, რის შემდგომაც მყიდველი ფირმა მისი სასაქონლო ნიშნით ეწევა თავის ბიზნეს, ხოლო ლიზინგი ძირითადი აქტივების დაფინანსების საშუალებას წარმოადგენს, რომლის დროსაც მომხმარებელს გრძელვადიანი იჯარითა და გამოსყიდვის უფლებით გადაეცემა ტექნიკა და სხვადასხვა მოწყობილობები.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ასტიმულირებს ადგილობრივ კომპანიებში თანამედროვე მეცნიერულ-ტექნოლოგიური მიღწევების, მენეჯერული უნარ–ჩვევების დანერგვასა და ქვეყნების ეკონომიკური ზრდას. ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, რადგანაც ისინი ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობის ინდიკატორია. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესაძლო თანმხლები ნეგატიური შედეგები ასე გამოიყურება:

- ადგილობრივი ინვესტიციების ბაზრიდან გამოდევნა;
- მოსახლეობის შემოსავლების დიფერენციაციის გაძლიერება;

- რეციპიენტი ქვეყნის შიგა ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში უცხოური ინვესტიციების განმახორციელებელი ქვეყნის ჩარევა და სხვა.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკლოვანებად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ ინვესტორი მხოლოდ მაქსიმალური მოგების მიღებაზეა ორიენტირებული და ნაკლებად ინტერესდება ქვეყნის ბუნებრივი გარემოთი, მოგების უდიდესი ნაწილი კი გაედინება ქვეყნის საზღვრებს გარეთ. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ უცხოური ინვესტიციები დავაიგნოროთ, რადგან მათ ქვეყნისათვის დიდი სარგებელის მოტანა შეუძლიათ.

ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თუნდაც 10–ჯერ ზრდა ერთმნიშვნელოვნად პოზიტიურად არ უნდა აღვიქვათ, უნდა დავადგინოთ შესაბამისი მოცულობით იზრდება თუ არა ქვეყანაში ინვესტიციების საერთო მოცულობა, ხდება თუ არა უცხოეთიდან თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მენეჯერული უნარ–ჩვევების შემოდინება, ექსპორტის ზრდა, თუ იქმნება სამუშაო ადგილები და სხვა.

იმისთვის, რომ ქვეყანამ ინვესტიციები მოიზიდოს და მოხდეს ინვესტიციური საქმიანობის სტიმულირება, აუცილებელია გონივრული საინვესტიციო პოლიტიკის გატარება, უნდა არსებობდეს ერთიანი კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური მიდგომა, საინვესტიციო საქმიანობის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია და მისი იმპლემენტაციის ინსტრუმენტები და ბერკეტები.

1.2 საინვესტიციო საქმიანობის სამართლებრივი ბაზა და რეგულირების საკითხები

ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს ჯანსაღი ბიზნეს გარემოს ფორმირება წარმოადგენს. ნებისმიერი სახელმწიფოს უმთავრესი მიზანია სამართლებრივი ბაზის შექმნა, ინვესტიციების ხელშეწყობის შესახებ მოქმედი კანონმდებლობის სრულყოფა და საერთაშორისო დონეზე ამოქმედება, ინვესტიციათა ურთიერთსავალდებულო დაცვა.

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილის ერთობლიობა განაპირობებს საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და საბაზრო მექანიზმის ფუნქციონირებისთვის უმთავრესი პირობების ფორმირებას.

სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზანია ქვეყანაში, ე.წ. “Business and investment friendly” გარემოს შექმნა, როდესაც ქვეყანაში არსებობს ბიზნესისათვის განსაკუთრებულად მიმზიდველი გარემო ეს ინვესტორთათვის ერთგვარი “მაგნიტი” ხდება. ბუნებრივია, ინვესტორები განვითარებულ, შედარებით სტაბილური ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ფულის დაბანდებას ამჯობინებენ, თუმცა ამავდროულად, განვითარებად ქვეყნებში ინვესტირებაც მიმზიდველია, ვინაიდან ასეთ დროს ინვესტიციების უკუგება მაღალია, რადგან საწარმოო ფაქტორები – მუშახელი, ნედლეული, რესურსები და სხვა გაცილებით იაფია.

მიუხედავად საინვესტიციო რეჟიმის ლიბერალიზაციისკენ მიმართული კანონებისა, უმეტესობა ქვეყნები ზღუდავენ უცხოელი ინვესტორების საქმიანობას გარკვეულ დარგებსა და სფეროებში, რაც უცხოური კაპიტალის “შემოტევისაგან’’ თავის დასაცავად ერთგვარ სიფრთხილის ზომებს წარმოადგენს.

მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკის პირობებში საქართველოში მთელი საკუთრება პრაქტიკულად სახელმწიფოს ეკუთვნოდა და შესაბამისად, ინვესტიციებიც მხოლოდ მისი პრეროგატივა იყო. ვინაიდან არ არსებობდა სრულყოფილი ინფორმაცია და ფასები ძლიერ დამახინჯებული იყო, მთლიანად ეკონომიკა არაეფექტიანობით ხასიათდებოდა. არაეფექტიანობას კი სწორედ საინვესტიციო სფეროს სტრუქტურული შეზღუდულობა განაპირობებდა.

ქვეყნის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ იგი საბაზრო ეკონომიკური პოლიტიკის გატარებაზე გადავიდა და დღის წესრიგში დადგა სწორი საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავების საკითხი. უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და მათი რაციონალური გამოყენება საბაზრო ეკონომიკის პირობებში ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად იყო მიჩნეული. ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება ეკონომიკური რეფორმების გატარების სამთავრობო პროგრამის ამოქმედებით დაიწყო. პროგრამა სხვა აქტუალური ღონისძიებების გატარების პარალელურად, სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკის გატარებასაც ითვალისწინებდა. უცხოური ინვესტიციები მიზნად ისახავდა პრიორიტეტული დარგების განვითარებასა და აღორძინებას და მათი მეშვეობით ენერგეტიკული კრიზისის დაძლევას, დანგრეული, მოძველებული კომუნიკაციების განვითარებას,

შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენებასა და უმუშევართა რიცხვის შემცირებას, მრეწველობის წამყვანი დარგების აღდგენას და სხვა.

საქართველოში დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველსავე წელს - 1991 წლის 25 ივლისს, მიიღეს პირველი კანონი *„უცხოური ინვესტიციების შესახებ",* ხოლო 10 აგვისტოს კანონი - *„საინვესტიციო საქმიანობის შესახებ".* პირველი კანონი არეგულირებდა უცხოურ ინვესტიციათა მოზიდვის საკითხებს, ხოლო 10 აგვისტოს კანონი განსაზღვრავდა ეროვნული ინვესტირების რეგულირების საკითხებს.

1994 წლის მიწურულს დამტკიცდა კანონი *"საზღვარგარეთის ქვეყნებისა და კომპანიებისათვის კონცესიების გაცემის წესის შესახებ",*[10] რომლითაც განისაზღვრა ქვეყანაში სპეციალური ხელშეკრულებით უცხოელი ინვესტორებისთვის ბუნებრივ რესურსთა დამუშავებასა და მასთან დაკავშირებულ სხვა სახის სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებით კონცესიების გაცემის ერთობლივი პრინციპები და წესები. 2018 წლის 4 მაისს აღნიშნული კანონი ძალადაკარგულად გამოცხადდა.

1995 წლის 10 ივლისს დამტკიცდა კანონი *„უცხოური ინვესტიციების შესახებ".* 1996 წლის 12 ნოემბერს აღნიშნული კანონი ძალადაკარგულად გამოცხადდა და მიღებულ იქნა კანონი *„საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ",* რომელმაც სამართლებრივად პირველად განმარტა ქვეყანაში ინვესტიციის არსი, საინვესტიციო საქმიანობის ობიექტი და სუბიექტი.

კანონის თანახმად: ინვესტიცია წარმოადგენს ნებისმიერი სახის ქონებრივ და ინტელექტუალურ ფასეულობას ან უფლებას, რომელიც ბანდდება და გამოიყენება შესაძლო მოგების მისაღებად ქვეყნის ტერიტორიაზე განხორციელებულ სამეწარმეო საქმიანობაში, ხოლო ინვესტორი წარმოადგენს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციას, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე ახორციელებს ინვესტირებას. კანონში დეტალურადაა გაწერილი საინვესტიციო სფეროში არსებული აკრძალვები და შეზღუდვები და ის საქმიანობები, რომლებშიც ინვესტირება მხოლოდ საქართველოს სახელმწიფოსთვისაა დასაშვები. ამასთან, გარდა კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა, ინვესტირების პროცესში უცხოელ ინვესტორთა უფლებები

[10] https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/28438?publication=3

და გარანტიები არანაკლებია საქართველოს მოქალაქე ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებებსა და გარანტიებზე.

2002 წლის 19 ივნისს დამტკიცდა კანონი *"საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ"*, რითაც სახელმწიფოს საწარმოო და საინვესტიციო პოლიტიკის სფეროში არსებული საჯარო მიზნების განხორციელების სამართლებრივი, ორგანიზაციული და ეკონომიკური პრინციპები და ამ პრინციპების განხორციელების კონკრეტული მექანიზმები განისაზღვრა. საქართველოს პარლამენტმა კანონი ძალადაკარგულად გამოაცხადა 2015 წლის 4 მარტს მიღებული ანალოგიური სახელწოდების კანონით, რომლის მიხედვითაც საქართველოს ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოს დაეკისრა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა მხარდაჭერის ვალდებულება. 2017 წლის 17 მაისს აღნიშნული კანონიც ძალადაკარგულად სცნეს და საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს უფლებამონაცვლედ განისაზღვრა სსიპ „აწარმოე საქართველოში", რომელიც საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაშია. [11]

2006 წლის 30 ივნისს პარლამენტმა მიიღო *"საქართველოს კანონი ინვესტიციების მხარდაჭერის შესახებ"*,[12] რომლითაც საინვესტიციო საქმიანობა ქვეყანაში შედარებით გაიოლებულია. კანონით მოხდა საქართველოს ტერიტორიაზე ადგილობრივ და უცხოურ ინვესტიციათა განხორციელების სამართლებრივი საფუძვლებისა და დაცვის გარანტიების განსაზღვრა. იგი მიზნად ისახავს ინვესტიციების დაბანდებისა და სამეწარმეო საქმიანობისთვის აუცილებელ პროცედურათა გაუმჯობესებასა და ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობას.

იმისთვის, რომ საქართველომ საერთაშორისო ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრირება მოახდინოს აუცილებელია სავაჭრო პარტნიორ სახელმწიფოებთან ეკონომიკურ ურთიერთობათა გაღრმავება. ამ მიზნით ქვეყანაში არაერთი სავაჭრო რეჟიმი მოქმედებს და დაიდო მრავალი საერთაშორისო ხელშეკრულება.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ქვეყანაში წარმატებით გატარდა ფისკალური რეფორმა, შეიცვალა საგადასახადო კანონმდებლობა, 2005 წელს, იანვრის თვეში, ძალაში შევიდა ახალი საგადასახადო კოდექსი და გადასახადების ოდენობა

[11] https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3674595?publication=0#DOCUMENT:1;
[12] საქართველოს კანონი „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ"

არსებული 21 გადასახადიდან 6-მდე შემცირდა, გამარტივდა ადმინისტრაციული მექანიზმები, გამკაცრდა გადასახადის გადამხდელთა კონტროლი, შემოიღეს საგადასახადო დავების წარმოების წესი. 2007 წლიდან დღემდე მიმდინარეობს გადასახადების ლიბერალიზაციის პროცესი, რათა შენარჩუნდეს ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპი და მოხდეს ინვესტორთა და ექსპორტის წახალისება.

2011 წლის 8 აპრილს მიღებულ იქნა კანონი სააქციო საზოგადოების - „საპარტნიორო ფონდის შესახებ“. ფონდი საკუთარ საქმიანობაში დამოუკიდებელია და ინვესტირებას მხოლოდ საქართველოში ახორციელებს. იგი მიზანად ისახავს მოგების მიღებას, ფინანსური აქტივების ღირებულების ზრდას, ინვესტიციების მოზიდვას, დასაქმების ხელშეწყობას, შეფერხებული პროექტების დასრულების მხარდაჭერასა და ახალი პროექტების შემუშავებას. ამ ეტაპზე ფონდის პორტფელი ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში რამდენიმე პროექტს აერთიანებს, 2.5 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი ჯამური საინვესტიციო მოცულობით. ფონდის სტრატეგიაა კერძო ინვესტორების მოზიდვა და მხარდაჭერა და იგი მხარს უჭერს კომერციულად მომგებიან, განვითარების დიდი პოტენციალის მქონე პროექტებს ენერგეტიკის, სოფლის მეურნეობის, წარმოების, უძრავი ქონებისა და ტურიზმის, ინფრასტრუქტურისა და ლოგისტიკის დარგში.[13]

2017 წლის იანვრიდან გარკვეული ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადში. კერძოდ, ამოქმედდა ე.წ „ესტონური მოდელი“, რომელიც გარკვეულწილად განსხვავდება ესტონეთში დანერგილი მოდელისგან, ვინაიდან შეთანხმებულია ქართულ კანონმდებლობასთან და ითვალისწინებს ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, თუმცა მთავარი პრინციპები იგივეა. რეფორმა მიზანად ისახავს ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას, ბიზნესის დაწყებისა და განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას და შიდა ინვესტიციების ზრდას. მოდელის მიხედვით, მოგებას, რომლის რეინვესტირებაც მოხდება, აღარ დაეკისრება მოგების გადასახადი. მოკლევადიან პერიოდში მოდელი საბიუჯეტო შემოსავლების (მოგების გადასახადის სახით) შემცირებას იწვევს, თუმცა გრძელვადიან პერიოდში რეინვესტირებული

[13] სს „საპარტნიორო ფონდი“ - https://fund.ge/who-we-are

თანხებიდან ბიზნესი დაიწყებს ზრდას და მეტი მოგების მიღებას. საბოლოო ჯამში, კომპანიას მოუწევს მოგების 15%-ის გადახდა, თუმცა უფრო მაღალი მოგებიდან.[14]

2019 წლის 29 ნოემბერს, საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს თანამშრომლობის შედეგად, საფუძველი ჩაეყარა მასშტაბურ სახელმწიფო პროექტს - „100 საინვესტიციო შეთავაზება ბიზნესს“. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია 100 პარალელური აუქციონის ერთდროული ჩატარება და სახელმწიფო საკუთრების გამარტივებული პროცედურებით პრივატიზება. აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ, როგორც მსხვილი, ასევე მცირე ბიზნესის შემთხვევაში, ადგილობრივ და საერთაშორისო ინვესტორებს. გასაყიდი ქონების საერთო საწყისი ღირებულებაა 150 მლნ ლარი. პროექტი 2500 ახალ სამუშაო ადგილს შექმნის, ხოლო მოსალოდნელი ინვესტიციის მოცულობა 200 მლნ ლარამდე იქნება. [15]

2020 წლის 11 თებერვლიდან ზემოთ აღნიშნულ სახელმწიფო პროგრამას დაემატა „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების 100 საბადო ბიზნესს“ პროგრამა. პროგრამის ფარგლებში პარალელურ რეჟიმში ელექტრონულად ქვეყანაში წიაღისეულის ათვისების ლიცენზიის 100 აუქციონის ჩატარება იგეგმება. 100 საბადო აერთიანებს ექსპორტის ან/და იმპორტის ჩანაცვლების პოტენციალის მქონე წიაღისეულს. პროექტის ფარგლებში მინიმუმ 1800 ახალი სამუშაო ადგილის შეიქმნება, ხოლო ლიცენზიათა საწყისი პაკეტის ჯამური ღირებულება 82 მილიონ ლარს შეადგენს, მოსალოდნელია სულ მცირე 120 მილიონი ლარის ღირებულების ინვესტიციის განხორციელება. აღნიშნული პროგრამის მიზანია ქვეყნის ეკონომიკის სწრაფი ზრდისა და განვითარების მხარდაჭერა, დასაქმების ხელშეწყობა და ინვესტიციების მოზიდვა.[16]

აღსანიშნავია, საქართველოს „სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020”,[17] მთავრობის სამოქმედო გეგმა და უცხოური ინვესტიციების ხელშეწყობის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებები:

---

[14]ერქომაიშვილი გ., ალუდაური დ. „მოგების გადასახადის ესტონური მოდელის შედეგები საქართველოში“ -http://oaji.net/articles/2017/4783-1545512935.pdf
[15] http://www.nasp.gov.ge/
[16] http://gda.ge/pages/100-sainvestitsio-shetavazeba-bizness
[17] http://www.economy.ge/uploads/ecopolitic/2020/saqartvelo_2020.pdf

- იმისთვის, რომ გაიზარდოს ფინანსებზე ხელმისაწვდომობა, შიდა დანაზოგების სტიმულირების პარალელურად, აუცილებელია უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, რაც გააიაფებს საკრედიტო რესურსს და გაზრდის ინვესტიციების მოცულობას ქვეყანაში.
- ეკონომიკური დიპლომატიის ეფექტიანი განხორციელება: ამ მიზნით ხელი შეეწყობა საქართველოს საინვესტიციო და ბიზნეს გარემოს პოპულარიზაციას საზღვარგარეთ, უცხოური ინვესტიციების, ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების შემოსვლას, ასევე, მცირე და საშუალო ბიზნესის ინტერნაციონალიზაციასა და ქართული ექსპორტის ზრდას;
- ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის ფარგლებში, ევროკავშირის ენერგეტიკულ კანონმდებლობასთან დაახლოება, რითაც ხელი შეეწყობა ტრანსსასაზღვრო ვაჭრობას, ბაზრის ლიბერალიზაციასა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს რეგიონული ვაჭრობის განვითარებას, სატრანზიტო და საექსპორტო პოტენციალის გაზრდას;
- ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების ენერგეტიკულ პროექტებზე მიმართვა, რათა შემცირდეს ენერგიის იმპორტი და გაიზარდოს ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობა.

„სტრატეგია 2020-ის“ მიხედვით, 2020 წელს შიდა დანაზოგების პროცენტული წილი მშპ-სთან მიმართებით საბაზისო 2.5%-დან 17%-მდე გაიზრდება. სახელმწიფოს მხრიდან ასევე იგეგმება გრძელვადიანი საინვესტიციო რესურსის მობილიზება გრძელვადიანი დაზოგვის ინსტრუმენტების დახმარებით, რასაც ასევე დიდ დახმარებას უწევს საპენსიო რეფორმა. გრძელვადიანი საპენსიო მოცულობის ზრდა, ქმნის დამატებით რესურსს ინვესტირებისთვის. სტრატეგია საინვესტიციო რესურსების ზრდის კუთხით განიხილავს კაპიტალის ბაზრის განვითარების მნიშვნელობას და საინვესტიციო კანონმდებლობის გადახედვის აუცილებლობას.

„სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020“ 2013 წელს შემუშავდა და საქართველოს მთავრობის N400 დადგენილებით 2014 წლის 17 ივნისს ძალაში შევიდა. 2020 წლამდე ეტაპობრივად მიმდინარეობდა სტრატეგიაში გაწერილი

ღონისძიებების იმპლემენტაცია გრძელვადიანი, ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მისაღწევად, თუმცა გლობალურმა პანდემიამ თავისი ნეგატიური გავლენა საქართველოს ეკონომიკაზეც იქონია და შეაფერხა იმ პოზიტიური ტენდენციების გაგრძელება, რომელსაც წინა წლებში ქვეყანამ ეტაპობრივად მიაღწია. პანდემიის შოკი სავარაუდოდ ეკონომიკურ ზრდას 4%-ით შეამცირებს. საქართველოს მთავრობის სრული მობილიზაცია, ვირუსთან ბრძოლის პრევენციული მეთოდები, სახელმწიფოს მიერ მოქალაქეთა სოციალური მხარდაჭერის, სამეწარმეო აქტივობის, ფინანსური სექტორის დახმარებისკენ მიმართული ღონისძიებების ერთობლიობა იძლევა იმის ვარაუდის საშუალებას, რომ საქართველო თავს ღირსეულად გაართმევს გლობალური პანდემიის გამოწვევებს და 2021 წელს დაფიქსირდება ეკონომიკის 4%-იანი ზრდა.

სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი მნიშვნელოვანი კანონების მიღებისა და რეფორმების შედეგია ის, რომ საქართველო 12 ადგილზე არის ეკონომიკური თავისუფლების კუთხით და არსებული ეპიდსიტუაციისდა მიუხედავად, დღემდე არ კარგავს საინვესტიციო მიმზიდველობას .[18]

[18] http://www.heritage.org/index/ranking

თავი II. საინვესტიციო აქტივობა და დინამიკა საქართველოში

2.1 ინვესიტიციები საქართველოში და მათი შეფასების ძირითადი პრინციპები

საქართველოსთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, რასაც განაპირობებს საბაზრო ეკონომიკის პირობებში არსებული კონკურენცია და უცხოური კაპიტალის მუდმივად შეზღუდული მოცულობა.

უცხოური ინვესტიციების მოზიდვა ფინანსური პოლიტიკის ერთ–ერთ ურთულეს მიმართულებას წარმოადგენს. მასში გაერთიანებულია ეკონომიკური, პოლიტიკური, სამართლებრივი, სოციალური, ფსიქოლოგიური და სხვა მრავალი ასპექტი, რომელთა ოპტიმიზაციის გზით მიიღწევა ის სასურველი შედეგი, რასაც სრულფასოვანი საინვესტიციო პროცესი და სტაბილური ეკონომიკური ზრდა ჰქვია.

საერთაშორისო გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ უცხოურ ინვესტიციას, სწრაფად მოზიდვისა და გამოყენების შემთხვევაში, უმეტეს შემთხვევაში ქვეყანაში პოზიტიური ზეგავლენის მოხდენა შეუძლია ეკონომიკურ პროცესებზე, აძლევს მას მნიშვნელოვან უპირატესობას სოციალურ–ეკონომიკური განვითარების აქტუალური პრობლემების გადაწყვეტისათვის. ზოგადად, უცხოური ინვესტიციებისათვის ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის ქვეშ იგულისხმება გეოგრაფიული, პოლიტიკური, ეკონომიკური, სამართლებრივი, სოციალურ–კულტურული პირობების მთელი კომპლექსი.

ევროკავშირში ამა თუ იმ ქვეყნის გაწევრიანების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კრიტერიუმს წარმოადგენს ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაბანდების შესაძლებლობა და მისი უსაფრთხოება, ინვესტირების შედეგად მიღებული უკუგების დაუბრკოლებლივ გატანა და ა. შ.

მსოფლიოში შექმნილია უნიკალური შესაძლებლობები თანამედროვე ტექნოლოგიის, ცოდნისა თუ სხვადასხვა გამოცდილების საზღვრებს შორის გადანაწილების კუთხით. იმ ქვეყნებს, რომლებიც იზიარებენ ეკონომიკისა და სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების თანამედროვე „თამაშის წესებს", რაც

გულისხმობს დამატებითი ბარიერების მოხსნას საზღვრებს შორის, უფრო მეტი სარგებლის მიღება შეუძლიათ ინვესტიციებისგან, ვიდრე ქვეყნებს სადაც განსხვავებული წესები მოქმედებს.

თანამედროვე ეპიდსიტუაციის გათვალისწინებით, თამამად შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ Covid 19-ის ნეგატიური ზემოქმედება მსოფლიო ეკონომიკაზე გარდაუვალია, მისი მასშტაბურად გავრცელების შემთხვევაში შეიძლება ქვეყანათა უმრავლესობა ეკონომიკურ კრიზისამდეც მივიდეს, თუმცა ვირუსის ზეგავლენის მასშტაბებსა და გავლენის ხარისხზე საუბარი ამომწურავად შეუძლებელია, ვინაიდან მსოფლიო დღემდე ებრძვის მას. განსაკუთრებით დიდ ეკონომიკურ დარტყმას განიცდიან ქვეყნები, რომელთა ეკონომიკაც უშუალოდ დამოკიდებულია ტურიზმზე, ნავთობისა და სხვა საქონლის ექსპორტზე.

ამ მხრივ, არც საქართველოა გამონაკლისი, ახალი კორონა ვირუსი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაზეც საგრძნობლად აისახა, კერძოდ: გაიზარდა უმუშევრობა, ეროვნულ ვალუტაზე სხვადასხვა ფაქტორების ზეწოლა, შეფერხდა ტურისტული აქტივობა, რამაც თავის მხრივ, გავლენა მოახდინა რესტორნებისა და სასტუმროების ბიზნესზე, შემცირდა საერთაშორისო გზავნილები, გაიზარდა მოთხოვნა პროდუქტზე. საინვესტიციო თვალსაზრისით საქართველო კვლავაც ინარჩუნებს თავის მიმზიდველობას, კორონა ვირუსით ინფიცირებულთა რიცხვი, სხვა ქვეყნების მაჩვენებლებთან შედარებით, გაცილებით მცირეა და მთავრობა საინვესტიციო აქტივობის ხელშემწყობ არაერთ ღონისძიებას ატარებს.

საქართველოში განხორციელებული ინვესტიციების საილუსტრაციოდ ცხრილ №2.1-ში წარმოდგენილია 2005 წლიდან დღემდე საქართველოში განხორციელებულ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა დინამიკა.

ცხრილი №2.1 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა საქართველოში 2005-2020 წწ. (მლნ აშშ დოლარი)*

წელი	სულ	I კვ	II კვ	III კვ	IV კვ
2005	452.8	88.6	104.8	79.6	179.7
2006	1 171.2	145.2	318.0	332.4	375.5
2007	1764.7	330.8	375.3	470.6	588.0

2008	1 575.2	540.1	607.7	136.1	291.3
2009	666.8	114.5	178.3	179.1	194.9
2010	865.6	176.1	211.5	236.8	241.2
2011	1 134.0	222.6	273.1	309.1	329.2
2012	1 048.2	312.4	248.0	220.5	267.3
2013	1 039.2	291.8	224.1	271.6	251.6
2014	1 837.0	331.9	217.6	749.5	538.0
2015	1 729.1	343.4	493.2	531.1	361.3
2016	1 650.3	392.2	452.1	506.5	299.5
2017	1 962.6	411.7	394.0	627.9	529.0
2018	1 265.2	323.5	403.6	367.0	171.0
2019*	1 267.7	283.6	209.8	427.4	347.0
2020*	165.4	165.4			

წყარო: https://www.geostat.ge/ წინასწარი მონაცემები

ქვეყანაში პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა შემოდინების განსაკუთრებულად ზრდადი ტენდენცია 2006-2008 წლებში შეინიშნებოდა. 2008 წელი, როგორც საქართველოსთვის, ასევე მსოფლიოსთვისაც საკმაოდ მძიმე იყო. საქართველოში 2008 წლის აგვისტოში მიმდინარე საომარი პროცესებისა და მსოფლიო ფინანსური კრიზისის ზეგავლენით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება მართალია, მაინც გრძელდებოდა, თუმცა ზოგადად, შემოდინების მოცულობამ მნიშვნელოვანი კლება დაიწყო.

საინვესტიციო აქტივობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აგვისტოს ომის შემდგომ წლებში 2014 წელს დაფიქსირდა, როცა ქვეყანაში განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციების მოცულობამ 2008 წლის ანალოგიურ მონაცემს 16.6%-ით გადააჭარბა და 1837.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო რეინვესტირების მოცულობა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა 17.6%-ს გაუტოლდა.

2015 წელს საინვესტიციო აქტივობა კვლავაც მაღალი იყო. განხორციელებულმა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა მოცულობამ 1729.1 მლნ აშშ დოლარს მიაღწია, რაც 5.9%-ით ჩამორჩება 2014 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. რეინვესტიციის მოცულობა

მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 9.1%-ის ტოლი იყო. უმსხვილეს ინვესტორ ქვეყანათა წილმა 70% შეადგინა, ქვეყნების პროცენტული სტრუქტურა კი შემდეგნაირად გამოიყურება: პირველ ადგილს აზერბაიჯანი იკავებს 35%-ით, მეორეს - გაერთიანებული სამეფო 25%, ხოლო მესამეს - ნიდერლანდები 10%-ით. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობით ლიდერია ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორი 608.2 მლნ აშშ დოლარით, მეორე ადგილს იკავებს ფინანსური სექტორი 202.0 მლნ აშშ დოლარით, ხოლო მესამე პოზიციაზეა - ჯანდაცვა და სოციალური დახმარება 140 მლნ აშშ დოლარით.

2016 წლის მონაცემებით, ქვეყანაში განხორციელდა 1650.3 მლნ აშშ დოლარის მოცულობის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია, რაც 4.6%-ით ჩამორჩება 2015 წლის მონაცემებს, ხოლო რეინვესტიციის ოდენობა მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 18.8%-ია. უმსხვილეს ინვესტორ ქვეყანათა წილი 56.2%-ს შეადგენს. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განმახორციელებელ ქვეყანათა პროცენტული სტრუქტურა ასეთია: ლიდერობს აზერბაიჯანი 35.6%-ით, მეორეზე - თურქეთი 13.0%-ით, მესამე ადგილზე კი გაერთიანებული სამეფო იმყოფება 7.6%-ით, ხოლო განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით უმსხვილეს სექტორთა წილმა 2016 წელს 58.3% შეადგინა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობით ლიდერობს ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა - 662.8 მლნ აშშ დოლარი, მეორე ადგილზეა მშენებლობა 176.5 მლნ. აშშ დოლარით, ხოლო მესამეზე - საფინანსო სექტორი 123.4 მლნ აშშ დოლარით.

2017 წელს ქვეყანაში 1962.6 მლნ აშშ დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია განხორციელდა, რაც 18.9% პროცენტით აჭარბებს 2016 წლის მაჩვენებლებს. რაც შეეხება რეინვესტიციის წილს, მან მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 31.4% შეადგინა. უმსხვილეს ინვესტორ ქვეყანათა წილი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საერთო მოცულობაში 58.7%-ია. განხორციელებულ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა მიხედვით ქვეყანათა პროცენტული სტრუქტურა კი ასე გამოიყურება: პირველ ადგილს აზერბაიჯანი იკავებს - 24.6%-ით, მეორეს ნიდერლანდები 18.9%-ით, ხოლო მესამეს - თურქეთი 15.2%-ით. რაც შეეხება განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით სამ უმსხვილეს სექტორს, მისმა წილმა 2017 წელს 57.0%

შეადგინა: ლიდერი კვლავ ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორია - 524.9 მლნ აშშ დოლარი, მეორე ადგილზეა საფინანსო სექტორი - 307.8 მლნ აშშ დოლარი, ხოლო მესამე ადგილს მშენებლობა იკავებს 172.5 მლნ აშშ დოლარით.

2018 წელს ინვესტიციათა ოდენობამ იკლო და 1265.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის მონაცემებს 35.5%-ით ჩამორჩება. პირდაპირი უცხოური ინვესტიცია მშპ-ის 7.2%-ს გაუტოლდა. 2018 წლის მონაცემებით, რეინვესტიციის პროცენტული წილი მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 34.6%-ია, ხოლო ინვესტიციათა საერთო მოცულობაში სამმა უმსხვილესმა ინვესტორ ქვეყანათა წილმა 50.1% შეადგინა. განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით ლიდერობს აზერბაიჯანი - 19.5%-ით, მეორე ადგილს იკავებს ნიდერლანდები 16.5%-ით, ხოლო მესამეს - გაერთიანებული სამეფო 14.1%-ით. სამი უმსხვილესი სექტორის წილი 48.0%-ს უდრის: ლიდერობს საფინანსო სექტორი 270.7 მლნ აშშ დოლარით, მეორე ადგილს იკავებს მშენებლობა - 173.0 მლნ აშშ დოლარით, ხოლო მესამე ადგილს - ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა 163.0 მლნ აშშ დოლარით.

2019 წლის წინასწარი მონაცემებით ინვესტიციებმა მთლიანი შიდა პროდუქტის კვლავ 7.2% შეადგინა, რაც 2014-2017 წლების საშუალო მაჩვენებელს 4.4%-ით ჩამორჩება. ეროვნული ვალუტის კურსის დაცემამ ბოლო 5 წლის განმავლობაში ინვესტიციების მშპ-სთან ფარდობის ზრდა გამოიწვია, რაც გამომწვეულია მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობის დასრულებით, გარკვეულ საწარმოთა გადასვლით საქართველოს რეზიდენტების საკუთრებაში, საწარმოთა მიერ მოგება-ზარალის მაჩვენებლების დაზუსტებით და არარეზიდენტ პირდაპირ ინვესტორთა წინაშე ვალდებულებათა შემცირებით.[19] წინასწარი მონაცემებით, საქართველოში 2019 წელს განხორციელებულ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა მოცულობა 1 267.7 მლნ აშშ დოლარია, რაც გასული წლის მაჩვენებელს 0.2%-ით აჭარბებს.

დიაგრამა №2.1 ასახავს ქვეყანაში განხორციელებულ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს 2017-2019* წლებში.

დიაგრამა №2.1 პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2017- 2019* წწ. (მლნ აშშ დოლარი)

[19] https://mof.ge/images/File/2019-publikaciebi/Outlook-April-2019_GEO.pdf



*წყარო: https://www.geostat.ge/ *წინასწარი მონაცემები*

დიაგრამა N2.2 გვიჩვენებს მთლიან შიდა პროდუქტსა და პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს შორის დამოკიდებულებას. მშპ გამოსახულია მილიარდი აშშ დოლარის მოცულობით, ხოლო ინვესტიციები პროცენტულად. როგორც ვხედავთ, 2012 წლიდან მოყოლებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პროცენტული წილი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით ზრდადი ტენდენციით ხასიათდებოდა, მან პიკს 2017 წელს მიაღწია და 12.11% შეადგინა, რასაც მოჰყვა კლება. 2018-2019 წლებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მშპ-ს დაახლოებით 7.2%-ს გაუტოლდა.

დიაგრამა 2.2 პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მშპ-სთან მიმართებით 2012-2019 წწ.



*წყარო: https://www.geostat.ge/ *წინასწარი მონაცემები*

საინტერესოა გავეცნოთ 2015-2019* წლების მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკას, რომელიც ასახულია ცხრილ N2.2-ში, როგორც ეროვნული ვალუტით, ასევე

აშშ დოლარით, ერთ სულ მოსახლეზე მუდმივ და მიმდინარე ფასებში. ხაზგასმის ღირსია ის ფაქტი, რომ 2015 წლიდან მოყოლებული მშპ ერთ სულ მოსახლეზე ზრდადი ტენდენციით ხასიათდება, 2019* წელს მიმდინარე ფასებში გამოსახული მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა ერთ სულზე 13 428.9 ლარს ანუ 4 763.5 აშშ დოლარს შეადგენს, ხოლო 2020 წლის I კვარტალის წინასწარი მონაცემებით, მშპ ერთ სულზე 2976.6 ლარი, ანუ 1017.1 აშშ დოლარია.

წინასწარი მონაცემებით, მიმდინარე წლის მაისის თვეში გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, რეალური მშპ-ს კლებამ 13.5% შეადგინა. 2020 წლის პირველი ხუთი თვის საშუალო მაჩვენებლით რეალური მშპ-ს კლება 5.4%-ის ტოლია, რაც გამოწვეულია ქვეყნის ეკონომიკის სხვადასხვა სექტორებზე მსოფლიო პანდემიის ნეგატიური გავლენით.

ცხრილი N2.2 მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკა 2015-2020 წწ.*

	2015	2016	2017	2018	2019*	2020* I კვ.
მშპ მიმდინარე ფასებში (მლრდ ლარი)	33.9	35.8	40.8	44.6	50.0	11.064
მშპ მუდმივ 2015 წლის ფასებში (მლრდ ლარი)	33.9	34.9	36.6	38.4	40.4	-
მშპ-ის რეალური ზრდა (%)	3.0	2.9	4.8	4.8	5.1	2.2
მშპ დეფლატორის ცვლილება (%)	5.8	2.6	8.5	4.4	6.6	6.1
მშპ ერთ სულზე (მიმდ.ფასებში, ლარი)	9109.4	9613.9	10933.9	11968.0	13428.9	2976.6
მშპ ერთ სულზე (მიმდ.ფასებში, აშშ დოლარი)	4012.6	4062.1	4358.5	4722.0	4763.5	1017.1
მშპ მიმდინარე ფასებში (მლრდ აშშ დოლარი)	14.9	15.1	16.2	17.6	17.7	3.78

*წყარო: https://www.geostat.ge/ *წინასწარი მონაცემები*

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ანალიზისას აუცილებელია ყურადღება გავამახვილოთ რეინვესტირების განაკვეთზე. როგორც აღვნიშნეთ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ერთგვარი ნაკლოვანება ის არის, რომ უცხოელი ინვესტორის მიერ მიღებული მოგებიდან, „ლომის წილი“ გაედინება ქვეყნის ფარგლებს გარეთ. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია იმ წილის ანალიზი, რომელიც მათი მოგებიდან კვლავ ქვეყანაში რჩება და ხმარდება ბიზნესის განვითარებას, რაც გულისხმობს ქვეყანაში დასაქმების ხელშეწყობას და ახალი ტექნოლოგიების შემოტანას.

მოცემული ცხრილი N2.3 და დიაგრამა N2.3 ნათლად ასახავს თუ როგორი არსებითი სხვაობაა რეინვესტციების მოცულობასა და პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს შორის 2015-2019* წლებში. 2015 წელს რეინვესტირების მოცულობამ 9.1% შეადგინა. 2016 წლიდან რეინვესტირების მოცულობის ზრდის ტენდენცია შეინიშნება და იგი 18.8%-ს შეადგენს, 2017 წელს რეინვესტიციის მოცულობამ 31.4%-ს მიაღწია, 2018 წელს რეინვესტიციის პროცენტული მაჩვენებელი 34.6%, ხოლო 2019 წელს წინასწარი მონაცემებით 48.3%-ია.

ცხრილი N2.3 პირდაპირი უცხოური ინვესტიციები კომპონენტების მიხედვით 2015-2019 წლებში (მლნ აშშ დოლარი)*

	2015	2016	2017	2018	2019*
სააქციო კაპიტალი	1283.9	1805.7	1091.3	803.4	493.1
რეინვესტიცია	158.0	311.0	616.6	437.2	612.5
სავალო ვალდებულებები	287.2	-466.4	254.7	24.6	162.0
სულ:	**1729.1**	**1650.3**	**1962.6**	**1265.2**	**1267.7**

*წყარო: https://www.geostat.ge/ *წინასწარი მონაცემები*

დიაგრამა N2.3 პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და რეინვესტიცია საქართველოში 2014-2019 წწ. (მლნ აშშ დოლარი)*



*წყარო: https://www.geostat.ge/ *წინასწარი მონაცემები*

ცხრილი №2.4 ასახავს ეკონომიკის სექტორების მიხედვით ქვეყანაში

განხორციელებულ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა დინამიკას 2014-2019 წლებში, ხოლო დიაგრამა №2.4 ახდენს 2019 წლის წინასწარი მონაცემების ვიზუალიზაციას.

2019 წლის წინასწარი მონაცემების მიხედვით, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა მიხედვით სამი უმსხვილესი სექტორის წილია 48.4%. აქედან, ლიდერობდა საფინანსო სექტორი 261.8 მლნ აშშ დოლარის ინვესტირებით, მეორე ადგილი დაიკავა ენერგეტიკის სექტორმა 193.9 მლნ აშშ დოლარით (15.3%), ხოლო მესამე ადგილზე სასტუმროებისა და რესტორნების სექტორია - 157.5 მლნ აშშ დოლარით (12.4%)

ცხრილი №2.4 პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა დინამიკა საქართველოში ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2014-2019 წწ. (მლნ აშშ დოლარი)*

	2014	2015	2016	2017	2018	2019*
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	440.5	608.2	662.8	524.9	163.0	116.9
საფინანსო სექტორი	126.6	202.0	123.4	307.8	270.7	261.8
მშენებლობა	324.5	144.4	176.5	172.5	173.0	118.5
ენერგეტიკა	190.0	123.7	145.0	280.6	120.8	193.9
სასტუმროები და რესტორნები	140.6	170.2	120.2	106.9	77.8	157.5
უძრავი ქონება	168.4	94.4	55.3	215.3	131.4	-32.4
დამამუშავებელი მრეწველობა	253.6	104.7	123.4	99.3	140.0	102.2
სამთომომპოვებითი მრეწველობა	45.3	88.0	49.7	51.8	62.2	68.7
სოფლის მეურნეობა და თევზჭერა	12.3	18.6	8.3	12.4	-3.3	13.6
ჯანმრთელობა და	-8.9	140.3	29.6	5.9	12.4	13.8

სოციალური დახმარება						
სხვა სექტორები	143.9	34.7	156.0	185.1	117.2	253.1
სულ	**1836.9**	**1729.1**	**1650.3**	**1962.6**	**1265.2**	**1267.7**

*წყარო: https://www.geostat.ge/ *წინასწარი მონაცემები*

დიაგრამა N2.4 პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა პროცენტული განაწილება ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2019* წელს



წყარო : https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi

**წინასწარი მონაცემები*

№2.5 ცხრილის მონაცემებზე დაყრდნობით, 2019* წლის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განმახორციელებელი მსხვილი ინვესტორი ქვეყნების ხუთეული ასე გამოიყურება: გაერთიანებული სამეფო 247.8 მლნ აშშ დოლარი, რაც ინვესტიციათა 19.5%-ს შეადგენს, თურქეთი 236.5 მლნ დოლარი (18.7%), ირლანდია 132.7 მლნ დოლარი (10.5%), აშშ - 99.0 მლნ დოლარი (7.8%), პანამა 78.1 მლნ დოლარი (6.2%) .

ცხრილი №2.5 ძირითადი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნები საქართველოში 2015-2019* წწ. (მლნ აშშ დოლარი)

	2015	2016	2017	2018	2019*
გაერთიანებული	398.8	85.2	247.5	178.8	247.8

სამეფო					
თურქეთი	74.9	220.7	256.1	49.6	236.5
ირლანდია	0.8	-0.4	0.2	3.2	132.7
აშშ	18.9	59.3	79.3	102.6	99.0
პანამა	9.5	75.9	23.8	74.6	78.1
ნიდერლანდი	164.9	77.3	354.5	208.4	52.9
რუსეთი	52.4	28.4	51.3	69.7	50.5
ჩინეთი	66.9	25.5	19.4	75.7	40.4
იაპონია	-34.6	5.8	18.4	4.8	39.2
დანარჩენი ქვეყნები	976.6	1072.6	912.1	497.8	290.5
სულ	**1729.1**	**1650.3**	**1962.6**	**1265.2**	**1267.7**

*წყარო: https://www.geostat.ge/ *წინასწარი მონაცემები*

საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა 2020 წლის პირველი კვარტლის წინასწარი მონაცემები გამოაქვეყნა. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ქვეყანაში განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა შეადგენდა 165.4 მლნ აშშ დოლარი. განხორციელებული ინვესტიციების მიხედვით შემდეგი სექტორები ლიდერობენ: საფინანსო სექტორი 57.4%, უძრავი ქონების სექტორი - 20.6%, სასტუმროები და რესტორნები - 9.5%, კავშირგაბმულობა - 7.7%. 2020 წლის პირველი კვარტლის წინასწარი მონაცემებით უმსხვილეს ინვესტორ ქვეყანათა ჩამონათვალი ასე გამოიყურება: გაერთიანებული სამეფო (44%), აშშ (17%), პანამა (12%), დანია (7%), ნიდერლანდები (6.8%), თურქეთი (6.7%) და სხვა.

როგორც ვხედავთ, ბოლო წლებში საქართველოში საინვესტიციო აქტივობა მზარდი დინამიკით ხასიათდება. იგი ინვესტირებისთვის მიმზიდველი ქვეყანაა, რასაც განაპირობებს მაკროეკონომიკური სტაბილურობის მისაღწევად ქვეყანაში გატარებული ღონისძიებები, სახელმწიფო ინსტიტუტების ეფექტიანი ფუნქციონირება, ბიზნესის დაწყებისთვის ადმინისტრაციული პროცედურების სიმარტივე, რეფორმები საკანონმდებლო კუთხით, გეოპოლიტიკური მდებარეობა და სტაბილური საინვესტიციო გარემო. მიუხედავად მსოფლიოში არსებული მძიმე ეპიდსიტუაციისა, ჩვენი ქვეყანა ახალი კორონავირუსის პანდემიასთან ბრძოლის თვალსაზრისით,

მოწინავე პოზიციაზეა და ინფიცირების მაჩვენებელი მინიმალურია. მთავრობა აქტიურად ახორციელებს ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის სუბსიდირებასა და აღნიშნული სირთულეების აღმოფხვრისკენ მიმართულ ღონისძიებებს, რაც საქართველოს ინვესტირების თვალსაზრისით კვლავაც ხელსაყრელს ხდის.

2.2 ინვესტირების პროცესში წარმოქმნილი პრობლემები და მათი აღმოფხვრის გზები

საქართველოში საგადასახადო და საინვესტიციო კანონმდებლობა წინა წლებთან შედარებით უფრო ლიბერალურია და ქვეყანაში სტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური გარემოა, თუმცა ადგილობრივ ინვესტიციათა მოცულობა კვლავ მცირეა და ქვეყანა უცხოურ ინვესტიციებზე დამოკიდებულია. სახელმწიფო მუდამ ზრუნავს ქვეყანაში ერთიანი საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებაზე. იმისთვის, რომ გაიზარდოს ადგილობრივ მეწარმეთა საინვესტიციო აქტივობა აუცილებელია გატარდეს შემდეგი ღონოსძიებები:

- საწარმოთა რესტრუქტურიზაციის პროცესის დაჩქარება;
- საბანკო სისტემის სრულყოფისა და განვითარების უზრუნველყოფა;
- საინვესტიციო ფონდების, სატრასტო და სალიზინგო კომპანიათა ქსელების შექმნა.

წინასწარი მონაცემებით, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საქართველოში 2019 წლის მშპ-ს ზრდის ტემპმა 5.1% შეადგინა, რაც განპირობებული იყო საინვესტიციო სფეროს მიმზიდველობით. [20]

საქართველოში საინვესტიციო გარემოს გასაუმჯობესებლად და ინვესტიციური საქმიანობის გააქტიურების კონკრეტული ღონისძიებების დასახვისთვის აუცილებელია ჯეროვნად გავაანალიზოთ საინვესტიციო სფეროში არსებული კრიზისის გამომწვევი მიზეზები და ის თუ რა ფორმით შეიძლება გამოვლინდეს იგი. აღნიშნულ მიზეზთაგან მთავარია შემდეგი:

კაპიტალურ დაბანდებათა მკვეთრი შემცირება. კაპიტალური დაბანდებების ქვეშ იგულისხმება ხარჯები, რომლებიც მიმართულია ძირითადი კაპიტალის შეძენის,

[20] https://www.geostat.ge/

საწარმოო შესაძლებლობების გაფართოების, გადიდებისა და სრულყოფისკენ. კაპიტალური დაბანდებების შემცირება ხელს უშლის წარმოების ეფექტიანობას, რაც თავის მხრივ, აფერხებს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებას. 2019 წლის წინასწარი მონაცემებით, სახელმწიფოს მიერ განხორციელებულმა კაპიტალურმა ინვესტიციებმა მიაღწია რეკორდულ მაჩვენებელს და მთლიანი შიდა პროდუქტის 8% შეადგინა, თუმცა მსოფლიო პანდემიის შედეგად შექმნილი ბიუჯეტის დეფიციტის ნაწილობრივ დასაფინანსებლად, 2020 წლის მარტიდან მნიშვნელოვანწილად შეიმცირდა სახელმწიფო კაპიტალური დანახარჯები 600 მლნ ლარის ოდენობით.

საწარმოებისა და საოჯახო მეურნეობის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება. საწარმოებისა და საოჯახო მეურნეობები საკუთარ ფულად შემოსავლებს დამოუკიდებლად განკარგავენ, ღებულობენ გადაწყვეტილებებს მათი გამოყენებისა და დაზოგვის, საბანკო ანგარიშზე განთავსების ან კონკრეტულ ბიზნეს საქმიანობაში დაბანდების შესახებ. აქედან გამომდინარე, სწორედ აღნიშნული შემოსავლები გვევლინება ინვესტირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს წყაროდ.

დანაზოგების სიმცირე. ინვესტირების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ინვესტორი გრძელვადიან პერიოდში ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობისა და მისი განვითარების პერსპექტივების შეფასებისას ეროვნული დანაზოგის მოცულობას ითვალისწინებს. ქვეყანაში საპროცენტო განაკვეთები კვლავაც მაღალია, მაშინ, როდესაც დეპოზიტებზე სარგებლის განაკვეთები საგრძნობლად მცირეა. ბიზნესის დაწყებისა და შემდგომი გაფართოებისთვის დაკრედიტება უმნიშვნელოვანესია. მოსახლეობის მხრიდან დანაზოგების ინვესტირების ძირითად მიმართულებად დეპოზიტებზე თანხის განთავსებაა, ხოლო ალტერნატიულ გზას საფონდო ბირჟაზე ინვესტირება წარმოადგენს.

ადგილობრივი დანაზოგების სიმწირის პრობლემა საქართველოს „სტრატეგია - 2020-შიც“ აისახა. სტრატეგიის მიხედვით, იმისთვის, რომ ქვეყანამ ფინანსურ მდგრადობას მიაღწიოს აუცილებელია ადგილობრივი დაზოგვის სტიმულირება. თუ 2020 წლის საპროგნოზო მაჩვენებლებს დავეყრდნობით, ქვეყანაში შიდა დანაზოგების მოცულობამ მთლიანი შიდა პროდუქტის 17%-ს უნდა მიაღწიოს.

დიაგრამა N2.5 გვიჩვენებს მთლიანი შიდა დანაზოგების პროცენტულ წილს ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში.

დიაგრამა №2. 5 მთლიანი შიდა დანაზოგების წილი მშპ-ში (პროცენტი)



წყარო: http://data.worldbank.org/indicator/NY.GDS.TOTL.ZS

როგორც ვხედავთ, მთლიანი შიდა დანაზოგების პროცენული წილი მშპ–ში 2005 წლიდან მცირდება, განსაკუთრებით კლება შეიმჩნევა 2008-2009 წლებში, როდესაც იგი უარყოფითი ხდება და შესაბამისად, -3.8% და -6.2%-ს შეადგენს. 2010 წლიდან დანაზოგების სტატისტიკა გარკვეულწილად დამაიმედებლია და ზრდის ტენდენციით ხასიათდება. აღნიშნული ზრდის ტენდენცია შენარჩუნებულია ბოლო წლებში. 2019 წელს დანაზოგების წილმა მთლიანი პროდუქტს დაახლოებით 17.9% შეადგინა, თუმცა ეს არ არის საკმარისი და შეიძლება ითქვას, რომ შიდა დანაზოგები სერიოზულ სტიმულირებას საჭიროებენ, ვინაიდან ამ მაჩვენებლით საკმაოდ ჩამოვრჩებით სხვა სახელმწიფოებს, კერძოდ: სინგაპურს, ჩინეთს, აზერბაიჯანს, რუსეთს, თურქეთს, იაპონიას და ასე სხვა, რომელთა მთლიანი დანაზოგები შესაბამისად მშპ-ს 53.75%, 44.94%, 32.46%, 31.32%, 26.93%, 24.56% -ია.

უმუშევრობის დონე. უმუშევრობის დონის მაღალი მაჩვენებელი ქვეყანაში შიდა საინვესტიციო რესურსების შემაფერხებელ ერთ-ერთ ფაქტორია. საქართველოში უმუშევრობის დონე სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2019 წლის მონაცემებით 11.6%-ს უტოლდება. უმუშევრობის მაღალი დონე, თავის მხრივ, ინვესტიციური აქტიურობის დაბალ დონეს ნიშნავს.

საგარეო ვალი. საგარეო ვალის ზრდა უარყოფით გავლენას ახდენს ქვეყნის საინვესტიციო პოტენციალზე, ვინაიდან ფინანსური რესურსებით კვლავწარმოების პროცესის შეფერხებას იწვევს. 2020 წლის ბიუჯეტი 2019 წლის მაკროეკონომიკური და ფისკალური მაჩვენებლების მიხედვით დაიგეგმა. პროექტის თანახმად, საქართველოს მთავრობის ვალი 1 757 მლნ ლარით უნდა გაზრდილიყო, აქედან 856 მლნ ლარს საშინაო, ხოლო 901 მლნ ლარს საგარეო ვალი შეადგენდა, ბიუჯეტის პროექტის თანახმად, 2020 წლის ბოლოს მთავრობის ვალს 22.7 მილიარდ ლარისთვის უნდა მიეღწია, რაც მშპ-ს საპროგნოზო მაჩვენებლის 46.8%-ია.[21]

2020 წლის 9 ივნისს საქართველოს მთავრობამ „2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონში ცვლილების შესახებ პროექტი წარადგინა. კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის შოკმა რადიკალურად შეცვალა არსებული ფისკალური და მაკროეკონომიკური მაჩვენებლების პროგნოზები. საპროგნოზო მაჩვენებლების გათვალისწინებით, ქვეყნის ეკონომიკა 4%-ით შემცირდება, ბიუჯეტის დეფიციტი 4.3 მლრდ ლარს გაუტოლდება, რაც საპროგნოზო მშპ-ს 8.4%-ს შეადგენს. ეკონომიკური აქტივობის შემცირებისა და პანდემიის მართვისას გაწეული ხარჯების შედეგად, 2020 წლის ნაერთ ნიუჯეტში დაგეგმილი შემოსავლები, საერთაშორისო პარტნიორების მიერ გამოყოფილი გრანტებისა და კრედიტების გამოკლებით (დაგეგმილი იყო 13.7 მილიარდის ოდენობით) სავარაუდოდ 1.8 მლრდ ლარით შემცირდება.

აღსანიშნავია *ბანკების როლი* ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაში, რამეთუ კომერციული ბანკები ნებისმიერ ეკონომიკაში ეფექტიანად შუამავლობენ დამზოგველებსა და მსესხებლებს შორის. ამასთან, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება გონივრულ მიდგომას კრედიტების გაცემის პროცესში და ეფექტიან საბანკო ზედამხედველობას. Covid 19 გლობალური პანდემიისგან გამოწვეული შოკი საბანკო სექტორსაც შეეხო. შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ლიკვიდურობის პრობლემის გადასაჭრელად დამატებით 600 მლნ ლარის ღირებულების ფასიანი ქაღალდების გამოშვებას და მიღებული თანხის კომერციულ ბანკებში განათავსებას გეგმავს გრძელვადიანი დეპოზიტების სახით.

[21] საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო -https://transparency.ge/ge/blog/sakartvelos-2020-clis-saxelmcipo-biujetis-proektis-mokle-analizi-da-rekomendaciebi

ფინანსურ სექტორზე ახალი კორონა ვირუსით გამოწვეული ნეგატიური ზემოქმედების შემსუბუქებისა და ქვეყნის ეკონომიკის წახალისებას ისახავს მიზნად საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საერთაშორისო სავალუტო ფონდის, ევროპის ცენტრალური ბანკისა და სხვა წამყვან ფინანსურ ორგანიზაციათა რეკომენდაციების გათვალისწინებით შემუშავებული დროებითი საზედამხედველო გეგმა და გატარებული ფულად-საკრედიტო ღონისძიებები.

ადამიანური კაპიტალის განვითარების დონე. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ზრდის დასაქმებას, უკეთეს ხელფასსა და სამუშაო პირობებს სთავაზობს დასაქმებულებს და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანური კაპიტალის კვალიფიკაციის ამაღლებასა და განვითარებაზე.

ეკონომიკისა და საგარეო ვაჭრობის დონე. პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა პოზიტიური ზეგავლენა ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე უდავოდ დიდია. ინვესტიციათა მეშვეობით, შესაძლებელია ეკონომიკურ ფაქტორთა პროდუქტიულობის ამაღლება და არსებული რესურსების ეფექტიანი ათვისება. კაპიტალის მოცულობის ზრდა ხელს უწყობს გამოშვების ზრდას. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მეშვეობით იზრდება საგარეო ვაჭრობა და ამ გზით მიმღები ქვეყანის ინტეგრაცია გლობალურ ეკონომიკაში, თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საინვესტიციო პროექტებიდან გენერირებული მოგების უდიდესი ნაწილი ტოვებს ქვეყანას და ამასთან, ინვესტორი მხოლოდ მაქსიმალური მოგების მიღებაზეა ორიენტირებული, მას ნაკლებად აინტერესებს ქვეყნის ბუნებრივი გარემო.

პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებული კიდევ ერთი საფრთხეა, ე.წ. ადგილობრივი მრეწველობის „გამოდევნის ეფექტი". საერთაშორისო კომპანიები იყენებენ თავიანთ კონკურენტულ უპირატესობას და აფერხებენ ადგილობრივ კომპანიათა განვითარებას.

არსებულმა მწვავე ეპიდსიტუაციამ მსოფლიოსთან ერთად, ჩვენი ქვეყანის საგარეო ვაჭრობა საგრძნობლად დააზარალა. გასულ წელს ექსპორტიდან გენერირებული შემოსავალი 3.8 მლრდ აშშ დოლარს შეადგენდა, ხოლო 2020 წლის აპრილში საქართველოში ექსპორტი 28%-ით, ხოლო იმპორტი 39%-ით შემცირდა, რაც

საკმაოდ ნეგატიურად აისახება ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპზე.[22]

საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გაზრდისა და შესაბამისად, ეკონომიკური ზრდის მისაღწევად, საჭიროა შემდეგი ღონისძიებების გატარება:

- ეკონომიკის კონკრეტული დარგისა და რეგიონის განსაზღვრა, რომელსაც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყველაზე მეტად სჭირდება;
- ინვესტიციების ხელშემწყობი სააგენტოს განვითარება;
- მონიტორინგისა და შეფასების სისტემის შემუშავება, რისი მეშვეობითაც ინვესტიციების ხელშემწყობი სააგენტო გაცილებით უკეთ შეძლებს დაანახოს მთავრობას და სხვა დაფინანსებულ ორგანიზაციებს მისი საქმიანობის ეფექტიანობა;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება.

ინვესტირების კუთხით არსებული პრობლემების ჯეროვანი შესწავლა და გაანალიზება, მათი აღმოფხვრის მიმართულებით ჩატარებული ღონისძიებების გატარება, ქვეყანას გრძელვადიანი, სტაბილური ეკონომიკური ზრდის მიღწევაში მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს.

[22] Covid 19-ის წინააღმდეგ საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების ანგარიში

თავი III. ინვესტიციების მნიშვნელობა სტარტაპებისა და ეროვნული წარმოების განვითარებაში

3.1 საინვესტიციო გარემო საქართველოში: რეალობა და განვითარების გზები

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ქვეყანაში არსებულ საინვესტიციო გარემოსა და მთავრობებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ ღონისძიებებზე. საინვესტიციო გარემო აერთიანებს მთელ რიგ ურთიერთდაკავშირებულ ფაქტორებს, რომელიც გავლენას ახდენს ინვესტორებზე ინვესტირების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. შესაბამისად, როდესაც ვსაუბრობთ საინვესტიციო გარემოზე აუცილებელია კონკრეტული ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის, საინვესტიციო და საგადასახადო პოლიტიკის, ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობის, საკანონმდებლო ბაზისა და სასამართლო ხელისუფლების, კრიმინოგენული სიტუაციისა და სხვა კომპლექსური ფაქტორების ძირეული დამუშავება და ანალიზი. ამასთანავე, მნიშვნელოვანია ისეთი მაჩვენებლების მდგომარეობა, როგორიცაა მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპი, ქვეყანაში უმუშევრობის დონე, საგადასახდელო ბალანსი, ინფლაცია, მთლიანი ეროვნული დანაზოგების მოცულობა და ა.შ. საინვესტიციო გარემოს ფორმირებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის ექსპორტზე ორიენტაციის დონე, რაც გულისხმობს იმას თუ წარმოებული პროდუქციის რა წილი მიდის ექსპორტში. ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილის ერთობლიობა ქმნის საინვესტიციო კლიმატს ქვეყანაში და პირდაპირ აისახება, როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი ბიზნეს სუბიექტების გადაწყვეტილებაზე დააბანდონ საკუთარი კაპიტალი კონკრეტულ ქვეყანაში.

ეკონომიკის ზრდისა და განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ინვესტიციების მოზიდვა, სწორედ ამიტომ უნდა მოხდეს პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, ორგანიზაციულ-სამართლებრივი, ფინანსური ფაქტორების სიღრმისეული შესწავლა, არსებული პრობლემების გაანალიზება და ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის შექმნა, უნდა შემცირდეს

ადმინისტრაციული ბარიერები და შეზღუდვები, ამოქმედდეს ინვესტიციური პოლიტიკის და სახელმწიფოებრივი რეგულირების ხელშემწყობი მექანიზმები.

დღესდღეობით ინვესტიციების მოზიდვის კუთხით, ქვეყნებს შორის კონკურენცია გამძაფრებულია. მათი უმთავრესი საზრუნავია განსაკუთრებულად მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნა და ინვესტორებისათვის სხვებისაგან განსხვავებული ხელსაყრელი პირობების შეთავაზება. მსოფლიო ბაზრებზე კონკურენციის გამწვავების კვალდაკვალ, ბოლო 20-25 წლის განმავლობაში ბევრმა განვითარებადმა ქვეყანამ უცხოური ინვესტიციების რეგულირების რეჟიმების შერბილება დაიწყო. სახელმწიფოები უცხოელი ინვესტორების შემოსვლის პირობებს ადგენენ, აწესებენ სამამულო ბაზარზე გაყიდვათა მთლიან მოცულობაში უცხოური კომპანიების ექსპორტის მაქსიმალურ ხვედრით წილთან მიმართებით მოთხოვნებს, აწესებენ ადგილობრივ სამუშაო ძალის გამოყენებასთან დაკავშირებით ვალდებულებებს, ტექნოლოგიების გადაცემაზე აქვთ მოთხოვნები, ადგენენ რეციპიენტ ქვეყანაში შექმნილი ფირმების კაპიტალში უცხოური კომპანიების მინიმალურ და მაქსიმალურ ხვედრით წილებს.

როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, Covid 19-მა უზარმაზარი დარტყმა მიაყენა მსოფლიო ეკონომიკას - მნიშვნელოვნად შეფერხდა ტურიზმის სექტორი, საგარეო ვაჭრობა, კლება დაფიქსირდა ეკონომიკის მრავალ სხვა დარგში. პანდემიამ გავლენა მოახდინა, არამარტო საქონლისა თუ მომსახურების მოთხოვნაზე, არამედ მიწოდების მხრივაც სერიოზული პრობლემები შექმნა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის საპროგნოზო მაჩვენებლების თანახმად, მიმდინარე წელს მსოფლიო ეკონომიკის საშუალო კლება 3%-ს მიაღწევს, სიტუაციის კიდევ უფრო გართულების შემთხვევაში კი ეკონომიკის კლება 5%-ს გადააჭარბებს. ამ მხრივ გამონაკლისს არც ჩვენი ქვეყანა წარმოადგენს.

თუკი გასული 2019 წლის მონაცემებს გადავხედავთ, ვნახავთ, რომ ქვეყნის ეკონომიკური ზრდა შეადგენდა 5.1%-ს, ტურიზმის სექტორიდან ქვეყნის ეკონომიკაში შემოსავლის სახით გენერირდა 3.3 მლრდ. აშშ დოლარი, რაც ქვეყნის მშპ-ს 18.4%-ს გაუტოლდა, ექსპორტიდან ეკონომიკამ მიიღო შემოსავალი - 3.8 მლრდ. აშშ დოლარის ოდენობით (მშპ-ს 21.2%), 2019 წელს განხორციელებული წმინდა ფულადი

გზავნილების მოცულობა მშპ-ს 8.4% -ს გაუტოლდა და 1.5 მლრდ. აშშ დოლარი შეადგინა. ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილის შედეგად, 2019 წელს საქართველოს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი ისტორიულ მინიმუმს მიუახლოვდა და მშპ-ს 5.1% შეადგინა, რამაც თავის მხრივ, სახელწიფოს მიერ განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციების რეკორდული ზრდა განაპირობა (მშპ-ს 8%).

ჩამოთვლილი პოზიტიური ეკონომიკური მაჩვენებლების მიუხედავად, კორონავირუსის პანდემიამ გავლენა მოახდინა 2020 წლის ქვეყნის ეკონომიკური ზრდის პერსპექტივაზე, საპროგნოზო მონაცემებით, ქვეყანაში ექსპორტი 24.2%-ით, ხოლო იმპორტი 21.1%-ით შემცირდება. საბიუჯეტო შემოსავლების შემცირებასთან ერთად, პანდემიასთან ბრძოლის ხარჯები საკმაოდ დიდია. 2020 წლის ნაერთ ბიუჯეტში დაგეგმილი შემოსავლები რაც განახლებული პროგნოზების მიხედვით, შემცირდება 1.8 მლრდ. ლარით. საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზით, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა 2020 წელს 4%-ით შემცირდება, თუმცა სავალუტო ფონდი სახელმწიფოს მიერ პანდემიის პერიოდში გატარებული ღონისძიებების გათვალისწინებით, ვარაუდობს, რომ 2020 წლის მეოთხე კვარტლიდან ეკონომიკური მდგომარეობა დასტაბილურდება და 2021 წლის განმავლობაში ეკონომიკის 4%-იანი ზრდა მიიღწევა.[23]

ინვესტირებაზე გადაწყვეტილების მიღებისას ქვეყნის საინვესტიციო გარემოს შეფასების მიზნით ინვესტორები ეყრდნობიან მთელს რიგ ინდექსებსა და მსხვილი ეკონომიკური ორგანიზაციების პუბლიკაციებს.

თუ მსოფლიო ბანკის მიერ გამოქვეყნებულ მოხსენებას *"ინვესტიციები საზღვრებს გარეთ 2010"* გავეცნობით, საქართველო მსოფლიოს 87 ქვეყანას შორის ერთ-ერთი ყველაზე ღია ქვეყნად მიიჩნევა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათათვის. მოხსენება ეყრდნობა ოთხ თემატურ საკითხს: უცხოური კომპანიის მიერ კონკრეტულ ქვეყანაში ინვესტირების გზები, საქმიანობა, მიწის ფლობა და ბიზნესთან დაკავშირებული დავების გადაწყვეტა.[24]

მსოფლიო ბანკის კიდევ ერთი კვლევის, *„ბიზნესის კეთება -Doing Business"* მიხედვით, საუკეთესო შეფასების ზღვართან მიახლოებით (DTF) ქვეყნის ქულამ

[23] Covid 19-ის წინააღმდეგ საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების ანგარიში - http://gov.ge/files/76338_76338_444796_COVID-19angarishi...pdf
[24] http://www.enterprisegeorgia.gov.ge/en/News/646-investiciebi-sazgvrebs-garet-2010-2876

ისტორიული მაქსიმუმი - 83.7 ქულა შეადგინა, რაც გასულ წელთან შედარებით 0.2 პუნქტით გაუმჯობესებას ნიშნავს.[25] ქვეყანამ 2005 წელს მინიჭებული 120-ე პოზიციიდან მე-7 ადგილზე გადაინაცვლა, თუმცა საქართველოს რეიტინგი 2019 წელთან შედარებით ერთი პოზიციით გაუარესდა. ჩვენი ქვეყანა 190 სახელმწიფოს შორის ათეულშია ბიზნესის დაწყების (მე-2 პოზიცია), ქონების რეგისტრაციისა (მე-5 პოზიცია) და მინორიტარული ინვესტორების უფლებების დაცვის (მე-7 პოზიცია) კუთხით. რაც შეეხება სხვა ინდიკატორებს, ქვეყანა კრედიტის მიღების მხრივ მე-15, გადასახადების გადახდის მიხედვით მე-14, საზღვრებს გარეთ ვაჭრობის კუთხით 45-ე, ხელშეკრულებების აღსრულების მხრივ მე-12, გადახდისუნარიანობის გადაჭრის 64-ე, მშენებლობის ნებართვებთან დაკავშირებით 21-ე, ელექტროენერგიის მიწვდომადობის თვალსაზრისით კი 42-ე პოზიციას იკავებს.[26]

ქვეყნისთვის კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს მიღწევად შეგვიძლია მივიჩნიოთ ამერიკული კვლევითი ინსტიტუტ The Heritage Foundation მიერ გამოქვეყნებული „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი“. 2020 წელს ჩვენი ქვეყნის სარეიტინგო ქულა 77.1 შეადგენს და მან მე-12 ადგილი დაიკავა, ხოლო „უმეტესად თავისუფალი“ სტატუსით ევროპის რეგიონში 45 ქვეყანას შორის მე-6 პოზიციაზეა.[27] ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი უმეტესწილად ეყრდნობა მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების (Doing Business) რეიტინგს, გლობალურ კონკურენტუნარიანობის ინდექსს (GCI), კორუფციის აღქმის ინდექსსა (CPI) და მსოფლიო მართლმსაჯულების ინდექსს (WJP).

2020 წლის Heritage Foundation „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის“ მიხედვით, ქვეყნის ეკონომიკა სხვადასხვა მიმართულებით კვლავაც აგრძელებს შვიდ წლიან შთამბეჭდავ ზრდას.[28]

ინვესტორებისათვის ასევე საინტერესოა გლობალური ინოვაციების GII ინდექსი, რომელიც 2012 წლიდან მოყოლებული ყოველწლიურად ქვეყნდება და აერთიანებს ისეთ კომპონენტებს, რომელიც მნიშვნელოვან წარმოდგენას გვაძლევს ქვეყნის ეკონომიკური გარემოს ისეთ კომპონენტებზე, როგორიცაა:

---

[25] http://www.economy.ge/uploads/files/2017/reitingebi/doing_business_2020_geo.pdf
[26] https://www.doingbusiness.org/en/rankings
[27] https://www.heritage.org/index/country/georgia
[28] http://www.economy.ge/?page=news&nw=1450

- ინსტიტუტები/ინსტიტუციური მოწყობა (ეკონომიკური, პოლიტიკური და მარეგულირებელი გარემო);
- ადამიანური კაპიტალი და კვლევა;
- ინფრასტრუქტურა
- ბაზრის განვითარება - Market Sophistication;
- ბიზნესის განვითარება - Business Sophistication;
- ცოდნა და ტექნოლოგიები - Knowledge and Technology Outputs;
- შემოქმედებითი წარმოება - Creative Outputs;

2019 წლის მონაცემებით, პირველად გლობალური განვითარების ისტორიაში საქართველო 50 ქვეყანას შორის მოხვდა, უფრო ზუსტად ის 36.98 ქულით 48-ე ადგილს იკავებს, რაც 2018 წლის მონაცემებთან შედარებით 11 საფეხურით გაუმჯობესებას ნიშნავს, ხოლო პირველ ხუთეულში მოხვდნენ შემდეგი ქვეყნები: შვეიცარია (67.24 ქულა),შვედეთი (63.65 ქულა), ამერიკის შეერთებული შტატები (61.73 ქულა), ნიდერლანდები (61.44 ქულა), გაერთიანებული სამეფო (61.30 ქულა). რაც შეეხება ჩვენს მეზობელ ქვეყნებს, რუსეთი რეიტინგში 46-ე ადგილზეა 37.62 ქულით, თურქეთი 36.95 ქულით 49-ე ადგილს იკავებს, სომხეთი 33.98 ქულით 64-ე, ხოლო აზერბაიჯანი 30.21 ქულით 84-ე ადგილზეა.

დიაგრამა N3.1 2018-2019 წლების GII ინდექსის მონაცემები კომპონენტების მიხედვით



წყარო: Global Innovation Index -2019 - www.globalinnovationindex.org/gii-2019-report

მონაცემები გვიჩვენებს, რომ ინსტიტუციური მოწყობის თვალსაზრისით საქართველო 74.3 ქულით 36-ე ადგილს იკავებს. ბაზრის განვითარების დონით საქართველო 62.1 ქულით მე-15 ადგილს იკავებს, რაც შეიძლება უდიდეს წარმატებად ჩაითვალოს 2018 წლის მონაცემებთან (52.2 ქულა, 39-ე ადგილი) შედარებით. განსაკუთრებით სუსტ მხარედ შეიძლება ჩაითვალოს ცოდნა და ტექნოლოგიები (22.5 ქულა, 62-ე ადგილი), ქვეყანას ასევე დაბალი, თუმცა 2018 წელთან შედარებით გაუმჯობესებული მაჩვენებლები აქვს შემოქმედებითობისა (29.1 ქულა, 58-ე ადგილი) და ბიზნესის განვითარების დონის (29.5 ქულა, 70-ე ადგილი) კომპონენტში. წინა წელთან შედარებით, გაუმჯობესდა ინფრასტრუქტურისა (44.7 ქულა, 72-ე ადგილი) და ადამიანური კაპიტალისა და კვლევების (30.5 ქულა, 63-ე ადგილი) კომპონენტი.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა წარმოგვიდგენს 2014 წლიდან 2019 წლამდე გლობალური განვითარების ინდექსში საქართველოს რიგითობის დინამიკას.

დიაგრამა N3.2 GII ინდექსში საქართველოს ადგილი რიგითობის მიხედვით



წყარო: Global Innovation Index -2019 - www.globalinnovationindex.org/gii-2019-report

როგორც დიაგრამა გვიჩვენებს, საქართველომ 2014 წლიდან დღემდე უდიდესი პროგრესი განიცადა ინოვაციებში ინვესტირების კუთხით, კერძოდ ქვეყანა ბოლო 5 წლის განმავლობაში 26 რიგით დაწინაურდა.[29]

GII და სხვა ინდექსები და მისი შემადგენელი კომპონენტები მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის ქვეყნის განვითარების დონის შემაფერხებელი ფაქტორების

[29] https://www.globalinnovationindex.org/gii-2019-report#

შესახებ, კვლევის შედეგების გაანალიზება და ქმედითი ღონისძიებების გატარება პირდაპირ აისახება ქვეყნის მდგრად განვითარებაზე. [30]

კორუფციის აღქმის ინდექსის დონე. Corruption Perception Index საერთაშორისო ორგანიზაციის „საერთაშორისო გამჭირვალობა“ მიერ შემუშავებული მაჩვენებელია, რომელიც კორუფციის აღქმის დონეს ზომავს საჯარო სექტორში და ექსპერტების შეფასებებს ეყრდნობა.

2019 წლის კვლევაში საქართველოს 56 ქულა აქვს და 44-ე ადგილზეა კოსტა-რიკასთან, ჩეხეთთან და ლატვიასთან ერთად, კვლევა 180 ქვეყნის მონაცემს აერთიანებს. რეიტინგის თანახმად, 100 ქულა კორუფციის აღქმის უდაბლესი, ხოლო 0 ქულა - უმაღლესი მაჩვენებელია. ქვეყანა კვლავაც მოწინავე პოზიციაზეა აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში, მაგრამ მისი შედეგი გასულ წელთან შედარებით 2 ქულით გაუარესდა.[31] ასევე აღსანიშნავია, რომ საქართველოში საგადასახადო ტვირთი საკმაოდ დაბალია, რაც ბიზნესისათვის საკმაოდ მიმზიდველია.

ყოველწლიურად მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი წარადგენს მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ანგარიშს (The Global Competitiveness Report), რომელიც 2004 წლიდან ეყრდნობა მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ინდექსს. აღნიშნული ინდექსი საკმაოდ მრავალფეროვან ინფორმაციას გვაწვდის, რომელიც შესაძლოა საინტერესო იყოს უცხოელი ინვესტორისთვის. კერძოდ, იგი კომპლექსური შეფასების მეშვეობით ქვეყნის კონკურენტუნარიანობას, მაკროეკონომიკური გარემოს ხარისხს, სახელმწიფო ინსტიტუტების მდგომარეობას და ტექნოლოგიურ მზაობას ზომავს.

2019 წელს, საქართველომ კონკურენტუნარიანობის ინდექსში 66-ე ადგილიდან 74-ე ადგილზე გადაინაცვლა, ჯამური 61 ქულით. განხილული 12 მიმართულებიდან ჩვენი ქვეყნისთვის ყველაზე პრობლემატური საკითხებია: ბაზრის მოცულობა (104-ე ადგილი), ფინანსური სისტემა (91 ადგილი), ინოვაციური შესაძლებლობები (91-ე ადგილი), ჯანდაცვა (87-ე ადგილი) და მაკროეკონომიკური სტაბილურობა (84-ე ადგილი).[32] სწორედ აღნიშნულ შედარებით პრობლემურ მიმართულებებზე აქცენტირება და აღმოფხვრის შესაბამისი ღონისძიებების გატარება დაეხმარება

[30] https://idfi.ge/ge/global_innovation_index_2018_georgia
[31] საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო - https://www.transparency.ge/ge/post/2019-clis-korupciis-agkmis-indeksis-shedegebi-sakartvelos-antikorupciuli-repormebis-stagnaciaze
[32] ახალგაზრდა ბიზნესმენთა ასოციაცია - https://www.aba.com.ge/

სახელწიფოს საინვესტიციო გარემოსა და უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვის საქმეში.

ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის დიდი მნიშვნელობა ეკისრება ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველ ხელშეკრულებას. აღნიშნული ხელშეკრულება შესაძლებლობას იძლევა გაუმჯობესდეს საქართველოს საინვესტიციო გარემო და უფრო მიმზიდველი იყოს უცხოელი ინვესტორებისათვის. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სფერო, რომელიც ნაწილია ამ ხელშეკრულებისა, სასარგებლო იქნება ქვეყანაში ახალი ბაზრების შექმნისა და დასაქმების ბაზრის გაფართოებისთვის, იგი გამოიწვევს ექსპორტის გაფართოებას და მოიტანს დამატებით ინვესტიციებს.

ხელშეკრულების შედეგად, გრძელვადიან პერსპექტივაში, დამოუკიდებელ კვლევებზე დაყრდნობით, საქართველოს ექსპორტი დამატებით გაიზრდება 12%-ით, ხოლო მშპ კი, 4.3%-ით. ამ ხელშეკრულების კიდევ ერთი ძირითადი ელემენტია საქართველოს თავისუფალი სამეწარმეო სფერო, რის საფუძველზეც საქართველო შეძლებს ნებისმიერ ევროპულ ქვეყანაში შექმნას კომპანია, ან კომპანიის ფილიალი. სწორედ ეს ნიშნავს ბიზნეს სტრუქტურების შექმნის თავისუფლებას.

გასათვალისწინებელია, რომ თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება ერთ მილიარდამდე კრედიტების შესაძლებლობას შექმნის მცირე და საშუალო საწარმოებისთვის იმ ქვეყნებში, რომლებიც თავისუფალი ვაჭრობის ჩარჩოებში იმოქმედებენ.

როგორც ვნახეთ, უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა მთავრობამ ისეთი პროცესები აწარმოოს როგორიცაა: ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა, ბიზნესის ხელშემწყობი, ნათლად ჩამოყალიბებული კანონების მიღება, უცხოური ინვესტიციების შემოსვლისათვის გზების მოძიება, ხოლო როცა ამ კუთხით უკვე ყველაფერი მოგვარებულია, ხელისუფლება გზიდან უნდა ჩამოეცალოს კერძო სექტორს.

3.2 სტარტაპების სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამები და საინვესტიციო ფონდები, როგორც საინვესტიციო აქტივობის ძირითადი ფაქტორი

დღესდღეობით საქართველოში შეიძლება ითქვას ინვესტირებისთვის ხელსაყრელი, სტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური გარემოა, გამარტივებულია ბიზნესის დაწყებისთვის ადმინისტრაციული პროცედურები, თუმცა შიდა ინვესტიციების მოცულობა მაინც დაბალია და ქვეყანა დამოკიდებულია უცხოურ ინვესტიციებზე. შიდა ინვესტიციები აუცილებელია ქვეყნის სტაბილური ეკონომიკური ზრდის, ქვეყნის კონკურენტუნარიანობისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებისთვის.

ბიზნესის განვითარება პირდაპირაა დაკავშირებული ქვეყნის ეკონომიკურ სიძლიერესთან და მისი პოტენციალის გაცნობა მსოფლიოსთვის სახელმწიფოს ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კვალდაკვალ სახელმწიფოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ადგილობრივი ინვესტიციების მოზიდვა.

ადგილობრივი ინვესტიციების მოზიდვის მიმართულებით საინტერესოა სტარტაპების განხილვა. როგორც წესი, სტარტაპს არ გააჩნია საკუთარი კაპიტალი და დამოკიდებულია გრანტების მოპოვებაზე. დამწყები მეწარმისთვის რთულია დაფინანსების მოპოვება, რადგან მათი საქმიანობა გარკვეულწილად რისკის შემცველია. მცირე ბიზნესი ძირითადად არსებობს ფინანსური სექტორისგან მიღებული სესხებით, სტარტაპები კი იზიდავს მსხვილ ინვესტორებს.

სტარტაპის დაფინანსების უმთავრესი წყაროა ე.წ. „ვენჩურული კაპიტალი“ - მცირე ან ახალდაფუძნებულ საწარმოში ინვესტიცია, აქციათა პაკეტის უდიდესი ნაწილის ინვესტორის საკუთრებაში გადასვლით. ვენჩურული კაპიტალის უმთავრესი მახასიათებელია დიდი რისკი.[33]

ვენჩურული ინვესტიციები გულისხმობს ახალი იდეების, მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის ინოვაციური მიღწევების დაფინანსებას და კომერციალიზაციას. მართალია, აღნიშნული ბიზნესი დიდ ფინანსურ რესურსებს,

[33] http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=22859

შრომას და რისკს შეიცავს, მაგრამ წარმატების შემთხვევაში დიდი მოგების მოტანა შეუძლია.

უკანასკნელი წლების მანძილზე საქართველომ ფეხი აუწყო მსოფლიო ტენდენციას და გაჩნდა დაფინანსების ადგილობრივი წყაროები. შედეგად, შეიქმნა მაღალტექნოლოგიური პროდუქტები, დატრენინგდნენ დაინტერესებული ადამიანები, მოხდა სტარტაპების პოპულარიზაციაზე ზრუნვა და მათი დაფინანსება.

2014 წელს დაარსდა **„საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო/GITA“** და იგი საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაშია. სააგენტოს მიზანია ხელი შეუწყოს ინოვაციური მეწარმეობის განვითარებას. მისი უშუალო მონაწილეობით ხორციელდება სახელმწიფოსა და კერძო სექტორის ცოდნის, ინოვაციებისა და კვლევის შედეგების კომერციალიზაცია. იმისთვის, რომ პოტენციური ბენეფიციარები მოიზიდოს და დაეხმაროს ინოვაციებსა და ტექნოლოგიებზე ორიენტირებულ მეწარმეებს და სტარტაპებს საკუთარი იდეის რეალიზებაში, სააგენტო უწყვეტ რეჟიმში ქმნის და ავითარებს პროდუქტებსა და სერვისებს: სტაჟირების პროგრამა უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის, ტექნოლოგიების გადაცემის საპილოტე პროგრამა (TTPP), IT Hub და ა.შ.

ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ წარმატებით განხორციელებულ პროექტებს მიეკუთვნება:

ბიზნეს ინკუბატორი - დამწყები ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამა, რომელიც პირველად 2016 წლის თებერვალში ამოქმედდა. იგი ინოვატორ მეწარმეებს თავიანთი ბიზნეს იდეის ჩამოაყალიბებასა და განვითარებაში ეხმარება. პროგრამის ხანგრძლივობა არის 6 თვე და იგი რამდენიმე ეტაპს მოიცავს. ყოველი გუნდი უფასოდ იღებს 30 000 ლარამდე ღირებულების სერვისებსა და პროდუქტებს, გადის მარკეტინგის, პროექტის მართვის, ბიზნეს გეგმის ჩამოყალიბების ტრენინგებს. გუნდებს ასევე აქვთ საშუალება კონსულტაციები გაიარონ იურიდიულ, ფინანსურ, ინტელექტუალური დაცვის საკითხებში.

„სტარტაპ მეგობრული“ - პროექტი ქართულ და ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობს, რათა ხელი შეუწყოს ინოვატორებსა და

სტარტაპების სწრაფ განვითარებას. კომპანიას შეუძლია გახდეს სტარტაპ მეგობრული თუკი იგი აფინანსებს, სპეციალურ შეთავაზებას უკეთებს ან თანამშრომლობს სტარტაპებთან საერთო პროდუქტების ან/და მომსახურების შექმნის მიზნით.

„სტარტაპ ბითსი“ – “Startup Beats” დასახელება ინგლისურიდან მომდინარეობს და სტარტაპის გულისცემას/დინამიკას ნიშნავს. პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა სფეროში მოღვაწე წარმატებული ადამიანები და სტარტაპერები ერთმანეთს ხვდებიან და მიღებულ გამოცდილებას უზიარებენ, რაც ხელს უწყობს სტარტაპებს შორის საქმიანი ურთიერთობების გაზიარებას, სპიკერებსა და სტარტაპერებს შორის კომუნიკაციას და „სტარტაპ ეკოსისტემის“ შემდგომ ზრდა-განვითარებას.

IT ტრენინგები/IT სპეციალისტები - სააგენტო მართავს ტრენინგებს სხვადასხვა მიმართულებით. პროგრამის მიზანი IT მიმართულებით განათლების დონის ამაღლებაა. ასევე სააგენტოს ინიციატივით შექმნილია პორტალი, რომლიც ერთიან ბაზაში აერთიანებს საქართველოში არსებული IT სპეციალისტებს, ახდენს მათი დასაქმების ხელშეწყობასა და კომერციალიზაციას.

ტექნოპარკები და ინოვაციური ცენტრები - საქართველოში ამ ეტაპზე 3 ტექნოპარკი (თბილისი, ზუგდიდი და თელავი) და 2 ინოვაციური ცენტრი (ახმეტა, რუხი) ფუნქციონირებს. ტექნოპარკი წარმოადგენს ფიზიკურ სივრცეს, სადაც ტექნოლოგიური, საგანმანათლებლო და პროფესიონალური რესურსებია თავმოყრილი და მიზნად ისახავს მაღალტექნოლოგიური ბიზნეს იდეების ჩამოყალიბებას, ზრდასა და განვითარებას. იგი წარმოადგენს ინკუბატორების, სასწავლო ცენტრებისა და ლაბორატორიების, საერთო-სამუშო და რეკრეაციულ სივრცეების ერთობლიობასა და უზრუნველყოფს ტრენინგ-ცენტრებსა და შოურუმებზე წვდომას. რაც შეეხება ინოვაციური ცენტრებს, ისინი მინი ტექნოპარკებს წარმოადგენენ და მომხმარებლებს ლოკალურად იდენტურ სერვისებს სთავაზობენ.

ამ ეტაპზე მსოფლიოში 1090 ფაბლაბი ფუნქციონირებს. საქართველოში დღესდღეობით 22 ფაბლაბია, აქედან თბილისში-9, ბათუმში-2, ქუთაისში-2, მესტიში-1, გურჯაანში-1, ახალციხეში-1, ქობულეთში-1, წალენჯიხაში-1, ფოთში-1, ამბროლაურში-

1, რუსთავში-1, ზუგდიდში-1, ხოლო ფაბლაბ ტექნოპარკმა დღემდე განახორციელა 800-ზე მეტი პროექტი.[34]

ინოვაციური ბანაკი - იმისთვის რომ საქარველო რეგიონში ინოვაციური ეკოსისტემის განვითარების ერთ-ერთ საუკეთესო ადგილად იქცეს საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტომ შეიმუშავა გეგმა სტარტაპ ბანაკის დასაარსებლად. პროექტი მიზნად ისახავს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში სტარტაპ ბანაკების დაარსების საშუალებით ფარული ინოვატორების, მათი ბიზნეს იდეების აღმოჩენასა და საერთო ძალებით დასახული ამოცანების მიღწევას. ბანაკი ადგილობრივ დამწყებ მეწარმეებს საშუალებას მისცემს ფეხი საერთაშორისო ასპარეზზე მარტივად მოიკიდონ.

„სტარტაპ საქართველო“ - 2016 წელს სს „საპარტნიორო ფონდის“ და საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს თანამშრომლობითა და მთავრობის №206 დადგენილებით საქართველოში დამწყები ბიზნესის (სტარტაპების) ხელშეწყობის პროგრამა ამოქმედდა. „სტარტაპ საქართველო“ წარმოადგენს ვენჩურულ საინვესტიციო პროგრამას. იგი ნაწილია ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმის და იგი მთავრობის ოთხპუნქტიანი გეგმის ერთ-ერთ კომპონენტია. პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს ქვეყანაში ინოვაციური და მაღალტექნოლოგიური დამწყები კომპანიების მხარდაჭერა, ხდება დასაქმების ხელშეწყობა, აღნიშნულ კომპანიებს ეძლევათ საშუალება გავიდნენ საერთაშორისო ბაზარზე. პროგრამა დამწყებ სტარტაპებს, როგორც ფინანსურად, ასევე ინტელექტუალური რესურსითაც ეხმარება. იგი ორი კომპონენტისგან შედგება:

- ტექნიკური დახმარების კომპონენტი - პროექტის შერჩევის და განხორციელების პროცესში ტექნიკური დახმარება;
- დაფინანსების კომპონენტი - პროექტის დაფინანსება, პროგრამით დადგენილი წესის მიხედვით.[35]

ინოვაციურ კომპონენტში დაფინანსებას გასცემს სს **„საპარტნიორო ფონდი”.** ინოვაციური ბიზნეს იდეის ქონის შემთხვევაში ჩვენი ქვეყნის მოქალაქე ნებისმიერ ფიზიკურ პირს ან პირთა ჯგუფს შეუძლია დაფინანსების მოპოვება გარდა

[34] http://fablab.gov.ge/geo/static/41/ra-aris-fablabi
[35] https://matsne.gov.ge/ka/document/view/3279819?publication=0

კანონმდებლობით აკრძალული საქმიანობებისა. რაც შეეხება ინოვაციურ იდეას, ის ეკონომიკური ან სოციალური ღირებულების ახალ ან გაუმჯობესებულ პროდუქტს ან მომსახურებას მოიაზრებს.

პროექტთა დაფინანსების საერთო ბიუჯეტი 2 000 000 ლარს შეადგენს, საიდანაც ნახევარი სააგენტოს, ხოლო მეორე ნახევარი საპარტნიორო ფონდის ბიუჯეტიდან ფინანსდება. „სტარტაპ საქართველო“ დაფინანსებას გასცემს 15 000-დან 100 000 ლარამდე. განმცხადებლის თანამონაწილეობა შეიძლება განხორციელდეს, როგორც ფულადი (პროექტის მთლიანი ბიუჯეტის სულ მცირე 10%), ასევე არაფულადი ფორმით. განმცხადებელი ბიზნეს იდეის სანაცვლოდ იღებს კომპანიის წილის 45%-ს, დარჩენილი წილი ნაწილება კაპიტალშენატანების შესაბამისად პროპორციით. „სტარტაპ საქართველოს" ერთობლივ საწარმოში პარტნიორობის ხანგრძლივობა არ აღემატება 10 წელს.

მაღალტექნოლოგიური ბიზნეს იდეის დროს საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო პარტნიორად არაუმეტეს 7 წლის ვადით რჩება და იგი სტარტაპის მმართველობაში არ მონაწილეობს. სტარტაპების დაფინანსების უზრუნველყოფას მხოლოდ პროექტის ფარგლებში შექმნილი აქტივები წარმოადგენს. საინვესტიციო პროექტი ფინანსდება 100,000 ლარამდე თანხით და ბენეფიციარის თანხობრივი თანამონაწილეობა არ მოითხოვება, წილი კი 95%-ს შეადგენს, ხოლო იმისთვის რომ მოხდეს საერთაშორისო ინვესტორებისგან დამატებითი ინვესტიციების მოზიდვა, წარმატებული პროექტების წარდგენა სილიკონ ველიში (აშშ) ხდება.[36]

საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო/GITA ყველა ბენეფიციარს ტრენინგებით, ქოაჩინგით, მენტორინგითა და საკონსულტაციო მომსახურებით უზრუნველყოფს.[37]

ამ ეტაპზე სტარტაპ საქართველოს გამარჯვებულთა ოდენობა 106 შეადგენს, საიდანაც 86 ბიზნეს იდეა ინოვაციურ კომპონენტს მიეკუთვნება. ოფიციალურ ვებ გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია დაფინანსებული პროექტების მხოლოდ ნაწილის შესახებ, რომელიც წარმოდგენილია დანართ N1 -სა და დანართ N2-ში.

[36] http://startup.gov.ge/geo/program
[37] http://www.economy.ge/?page=projects&s=29

“სტარტაპ საქართველო” პროექტ “USAID ზრდასთან” ერთად ოკუპირებული ტერიტორიის მიმდებარე სოფლების მოსახლეობას აფინანსებს, რათა მათ შეძლონ ინოვაციური ბიზნესის წამოწყება და შეიქმნას მეტი საწარმო და სამუშაო ადგილი. ძირითად პრიორიტეტს ინოვაციური საწარმო წარმოადგენს და ბენეფიციარის მხრიდან მხოლოდ 10% თანამონაწილეობა მოითხოვება, დანარჩენი 90% ფინანსდება სტარტაპ საქართველოს მიერ შეღავათიანი გრძელვადიანი სესხით.

„USAID ზრდის“ მიერ გამოყოფილი ჯამური საგრანტო თანხის მოცულობა 500 000 აშშ დოლარია. აღნიშნული პროექტისა და სტარტაპ საქართველოს ერთობლივი პროგრამის ვადა კი 2021 წლის სექტემბრამდეა. პროექტი აერთიანებს 5 ნაწილისგან შემდგარ პროგრამას, საოკუპაციო ხაზის მიმდებარე რეგიონებში ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

ასევე, არსებობს სახელმწიფო პროგრამები, რომელიც საინვესტიციო აქტივობებს უწყობს ხელს, კერძოდ:

„აწარმოე საქართველოში“ - სააგენტო მეწარმეობის ხელშეწყობას, მეწარმეების მხარდაჭერას, ახალი საწარმოების შექმნასა და არსებულის გაფართობას ისახავს მიზნად. იგი ეხმარება კერძო სექტორს კონკურენტუნარიანობის მიღწევაში და საექსპორტო პოტენციალის ზრდას ასტიმულირებს. სააგენტო აერთიანებს სამ კომპონენტს: ბიზნესის, ექსპორტისა და ინვესტიციის მიმართულებას. პროგრამა 2014 წლიდან ხორციელდება და მის ფარგლებში სუბსიდირებულმა 1 ლარმა კერძო სექტორის მიერ 15.7 ლარის ინვესტიციას მისცა სტიმული, ბიუჯეტში 5.04 ლარი შეიტანა და 8.7 ლარის მშპ შექმნა.

"აწარმოე საქართველოში" სააგენტოს ფარგლებში 2015-2018 წელს დაფინანსდა 6 212 პროექტი, რომელთა ჯამური საინვესტიციო მოცულობა 61 მლნ ლარს აღემატება, თანადაფინანსება შეადგენდა 46.9 მლნ ლარს, ჯამურად დაფინანსება გადაეცა 9 384 ბენეფიციარს.

არსებული მწვავე ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე, განხორციელდა ცვლილებები „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში, რაც გულისხმობს იმას რომ სესხის/ლიზინგის თანადაფინანსების პერიოდი 24 თვიდან 36 თვემდე გაიზარდა, შეიცვალა საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსების მექანიზმი, გაიზარდა სააგენტოს

მიერ დაფინანსებული საქმიანობათა სახეობების ოდენობა, დაიწია სესხის/ლიზინგის მინიმალურმა ზღვარმა და საბრუნავ საშუალებათა დაფინანსება გაიზარდა 80%მდე. ამასთან, გრანტის მოცულობის მინიმალური ზღვარი 20 000 ლარიდან 30 000 ლარამდე გაიზარდა, ხოლო ბენეფიციარის თანადაფინანსების მოთხოვნა 20%-დან 10%-მდე შემცირდა. ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი ემსახურება ახალი კორონავირუსის შედეგად ეკონომიკაზე ნეგატიური ზემოქმედების შერბილებასა და სამეწარმეო აქტივობის ხელშეწყობას.[38]

საქართველოს თანაინვესტირების ფონდი (GCF) - 2013 წლიდან ამოქმედდა და არის კერძო კაპიტალის ფონდი, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყანაში არსებულ მზარდ ინდუსტრიებში საინვესტიციო პროექტების განხორციელებას, როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოელ პარტნიორებთან ერთად.[39] თანაინვესტირების ფონდი 25%-დან 100%-მდე წილობრივ მონაწილეობას ახდენს ისეთ პროექტებში, რომელთა მომგებიანობა მინიმუმ 17%-ს შეადგენს და რომელთა მინიმალური ჯამური საინვესტიციო მოცულობა 5 მლნ აშშ დოლარია. თანაინვესტირების ფონდის ხელშეწყობით არაერთი პროექტი განხორციელდა, კერძოდ:

- **სასტუმრო თავისუფლების მოედანზე.** თავისუფლების მოედანზე მარიოტის უმაღლესი კლასის ბრენდის „Luxury Collection“, სასტუმროს მშენებლობა მიმდინარეობს, რომლის ჯამური საინვესტიციო მოცულობაა 101 მლნ აშშ დოლარი. სასტუმროში განთავსდება ექვსი კატეგორიის 220 ნომერი, საკონფერენციო და შეხვედრების ოთახები, უმაღლესი კლასის კომერციული და საოფისე ფართები.
- **სასტუმრო და საკონფერენციო ცენტრი სოლოლაკში.** მიმდინარეობს Autograph Collection 5 ვარსკვლავიანი სასტუმროსა და საკონფერენციო ცენტრის მშენებლობა, რომელიც მარიოტის საერთაშორისო ქსელის უმაღლესი კლასის ბრენდს წარმოადგენს. პროექტის ჯამური ინვესტიციების მოცულობა 115 მლნ აშშ დოლარის შეადგენს. სასტუმროში იქნება 190 ნომერი, რესტორნები, სპა, აუზი, ფიტნეს ცენტრი, საოფისე ფართები და ა.შ.

[38] Covid 19-ის წინააღმდეგ საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების ანგარიში
[39] თანაინვესტირების ფონდი - http://gcfund.ge/

- **აქსის თაუერსი.** მრავალფუნქციური 41 სართულიანი კომპლექსია, 147 მეტრი სიმაღლითა და 110,000 მ² ფართით. პროექტის საინვესტიციო მოცულობა 101 მლნ აშშ დოლარია. კომპლექსი მოიცავს საცხოვრებელ ფართებს, A კლასის საოფისე ცენტრსა და Accor ჯგუფში შემავალი 5 ვარსკვლავიან სასტუმროს- „Pullman“. პროექტის ფარგლებში მოეწყობა მიწისქვეშა ავტოსადგომი 500 მანქანაზე, აუზი მოძრავი გადახურვით, სპა, ფიტნეს ცენტრი, მაღაზიები, 20-მდე კაფე-რესტორანი, მუზიქ ჰოლი, სადღესასწაულო დარბაზი, 10 მდე შეხვედრების ოთახი.
- **რეკრეაციული ზონა თაბორის ქედზე.** თაბორის ქედზე ხორციელდება მოსამზადებელი სამუშაოები მასშტაბური რეკრეაციული ზონის მოსაწყობად, საერთო ფართით 402,009 კვ.მ. პროექტის საინვესტიციო ღირებულებაა 90 მლნ ამერიკული დოლარი. რეკრეაციული სივრცის 90% სრულიან გამწვანებულია. თაბორის ქედზე იგეგმება გოლფის მოედანის, ხელოვნური ტბისა და ჩოგბურთის კორტების განთავსება. ასევე შენდება 160 ნომრიანი სასტუმრო 2 საცურაო აუზით, სპა ცენტრით, სავარჯიშო დარბაზითა და რესტორანით. პროექტი მიზანად ისახავს ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებასა და ტურისტების მოზიდვას.
- **სასტუმრო და საოფისე შენობა ერეკლეს მოედანზე.** ერეკლეს მოედანზე უნდა აშენდეს 5,000 მ² საოფისე შენობა და 150 ნომრიანი სასტუმრო, სადაც განთავსდება კაფე, რესტორანი, შეხვედრების დარბაზი, ფიტნეს ცენტრი, საცურაო აუზი და 200 ავტომანქანაზე გათვლილი პარკინგი. პროექტზე დაიხარჯება 36 მლნ აშშ დოლარი.
- **პარაგრაფ რიზორტი და სპა შეკვეთილში.** პროექტის ჯამური ღირებულებაა 120 მლნ. აშშ დოლარი. სასტუმროში განთავსებულია 220 ნომერი და იგი მოიცავს 1600 მ³ მოცულობის აკვარიუმს, ზღვაში 150 მ-ზე შეჭრილ აუზს, ბავშვებისთვის გასართობ სივრცეებს, სპას, ჩოგბურთის კორტებს, ზამთრის ბაღს, საკონფერენციო დარბაზებსა და რესტორნებს.
- **სასტუმრო კომპლექსი მწვანე კონცხზე.** 5 ვარსკვლავიანი სასტუმრო გამაჯანსაღებელი კომპლექსი 120 ნომრით, სპათი, აუზით, ფიტნეს

ცენტრითა და რესტორნით ბათუმის ბოტანიკურ ბაღთანაა ახლოს და მასში ჯამური ინვესტირების მოცულობა 70 მლნ აშშ დოლარია.

- **სასტუმრო განმუხურში.** ანაკლიასთან ახლოს 5 ვარსკვლავიანი 160 ნომრიანი სასტუმროს მშენებლობა იგეგმება. პროექტის ჯამური საინვესტიციო მოცულობა 45 მლნ აშშ დოლარს შეადგენს.
- **სასტუმრო სიღნაღში.** სიღნაღში 130 ნომრიანი სასტუმროს მშენებლობა მიმდინარეობს და მისი საინვესტიციო მოცულობა 22 მლნ აშშ დოლარია. სასტუმრო მოიცავს რესტორანს, 360 გრადუსიანი ხედის მქონე ლაუნჯ ბარს, ღია და გარე აუზს, ფიტნეს ცენტრებს, მარანსა და საკონფერენციო დარბაზს.
- **სასტუმრო პარაგრაფი აბასთუმანში.** აბასთუმანში მიმდინარეობს 150 ნომრიანი მაღალი კლასის სასტუმროს მშენებლობა, რომელიც მოიცავს აუზს, სპას, რესტორანს, საკონფერენციო დარბაზს. სასტუმროს ასევე ექნება ტერასა 360 გრადუსიანი ხედით. პროექტის ჯამური საინვესტიციო მოცულობა 60 მლნ აშშ დოლარს შეადგენს.
- **გალერია თბილისი.** გალერია თბილისი შვიდსართულიანი სავაჭრო ცენტრია, რომლის საერთო ფართით 34, 050 მ². იგი აერთიანებს 100-მდე მაღაზიას, ბოულინგ და ბავშვთა გასართობ ცენტრებს, კვების ობიექტებს, „თავისუფალ და გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატულ“ თეატრებს. ასევე იგეგმება 300 ავტომობილზე გათვლილი ავტოფარეხისა და 78 ნომრიანი ქართული ბრენდის სასტუმრო „რადიუსის“ მოწყობა. პროექტის საინვესტიციო დაფინანსება 100 მლნ აშშ დოლარია.

თანაინვესტირების ფონდი ახორციელებს მსხვილ პროექტებს სოფლის მეურნეობისა და ლოჯისტიკის მიმართულებით:

- **საქართველოს სათბურის კორპორაცია.** საქართველოს სათბურის კორპორაცია წარმოადგენს 12 ჰექტარზე გაშენებულ მაღალტექნოლოგიურ სათბურს, რომელიც გარდაბანში მდებარეობს. ინვესტიციისს ჯამური მოცულობა მოცულობა 34 მლნ აშშ დოლარს შეადგენს. აღნიშნულ პროექტზე მუშაობა ფონდმა ევროპულ კომპანია რიშელ ჯგუფთან

თანამშრომლობით 2014 წელს დაიწყო, შემდგომ კი ჰოლანდიურ კომპანია სერტონთან ერთად გააგრძელა. სათბური ამ ეტაპზე აწარმოებს კიტრისა და პომიდვრის სხვადასხვა ჯიშებს. დასაქმებულ ადამიანთა ოდენობა 250-ს აღემატება.

- **ქართული აგრო სახლი.** ქართული აგრო სახლი სოფლის მეურნეობის პროდუქტების შემფუთავი და დისტრიბუტორი კომპანიაა, რომელიც ადგილობრივ სასათბურე მეურნეობებთან და ფერმერებთან თანამშრომლობის გზით ბოსტნეულის რეალიზაციას ახდენს, როგორც ადგილობრივ, ისე საექსპორტო ბაზრებზე. პროექტის ჯამური საინვესტიციო დაფინანსება 533 400 აშშ დოლარის ტოლია.
- **გეოაგრო.** გეოაგრო რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი სასოფლო-სამურნეო პროდუქციის მწარმოებელი კომპანიას წარმოადგენს და აბაშის რეგიონში 1055 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზეა განთავსებული და იგი აწარმოებს ერთწლოვან და მრავალწლოვანი მარცვლოვანი კულტურებს. 2017 წელს კომპანიამ საქართველოს თხილის მწარმოებელთა ასოციაციასთან და ფერერო-ჯორჯიასთან თანამშრომლობით ფართომასშტაბიანი თხილის ბაღების პროექტი წამოიწყო, რომლის ფარგლებშიც დაიგეგმა თხილის ინდუსტრიული თანამედროვე ტიპის ბაღის განვითარება 600 ჰექტარ ფართობზე. პროექტზე დაიხარჯა 9 მლნ აშშ დოლარი.

თანაინვესტირების ფონდი ენერგეტიკისა და ინფრასტრუქტურის მიმართულებით ანხორციელებს შემდეგ პროექტებს:

- **მტკვარი ჰესი.** 2014 წლიდან ფონდი ახალციხეში მდინარე მტკვარზე ჰესის მშენებლობას აფინანსებს. მისი ჯამური დადმული სიმძლავრე 53 მგვტ-ს შეადგენს, ხოლო წლის განმავლობაში 251.5 მლნ კვტ. სთ.-ს გამოიმუშავებს, რაც 2019 წლის მონაცემებით ქვეყანაში ელექტროენერგიის მთლიანი მოხმარების 1.9%-ს უტოლდება. პროექტის დასრულება 2021 წელს იგეგმება და მისი ჯამური საინვესტიციო მოცულობა 157 მლნ აშშ დოლარს შეადგენს.

- **ონი 1.** ფონდის მხარდაჭერით ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდინარე რიონზე ჰესთა კასკადის მშენებლობა იგეგმება. ონი 1-ის ჯამური დადგმული სიმძლავრე 122.5 მგვტ-ს შეადგენს, ხოლო საშუალოდ წელიწადში 441.2 მლნ კვტ. სთ.-ს ელექტროენერგიას გამოიმუშავებს, რაც ქვეყანაში ელექტროენერგიის მოხმარების ჯამური მოცულობის 3.3%-ის ტოლია. პროექტის ჯამური საინვესტიციო მოცულობაა 185 მლნ აშშ დოლარი იქნება და იგი ექსპლუატაციაში 2024 წელს შევა.
- **ლენტეხი ჰესი.** ლენტეხისა და ცაგერის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე მდინარე ცხენისწყალზე იგეგმება ჰესის მშენებლობა, რომლის საერთო დადგმული სიმძლავრე იქნება 192 მგვტ, ხოლო საშუალო წლიური გამომუშავება 668 მლნ კვტ.სთ-ს შეადგენს, რაც ქვეყნის მთლიანი ელექტროენერგიის 6%-ია. პროექტის ჯამური საინვესტიციო მოცულობაა 385 მლნ და იგი 2026 წელს ექსპლუატაციაში შევა.

მასშტაბურ საინვესტიციო პროექტებზე საუბრისას აუცილებელია განვიხილოთ შემდეგი პროექტები:

- **ანაკლია სითი**. ანაკლია სითი შპს „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ მიერ დაფინანსდა. კონსორციუმი საერთაშორისო ბიზნეს ლიდერთა გუნდსა და გამოცდილ კომპანიათა ჯგუფს აერთიანებს. ქვეყნის მთავრობასთან თანამშრომლობით კონსორციუმი ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობასა და განვითარებას აფინანსებს, მთლიანი საინვესტიციო პროექტის ჯამური ღირებულებაა 2.5 მლრდ აშშ დოლარი. აქედან, პირველი ფაზის მშენებლობა დაფინანსდება 586 მლნ დოლარით და იგი 2020 წელს დასრულდება. ამჟამად პორტის კონცეპტუალური დიზაინი დამუშავებულია და 9 ფაზის გენერალური გეგმა არსებობს. სს „ანაკლია სითის“ მიზანია, განავითაროს ქალაქის მასშტაბის მქონე თავისუფალი ეკონომიკური ზონა, ჩამოაყალიბოს ანაკლიის პორტი საერთაშორისო დონის კომპლექსად და აქციოს იგი ცენტრალური აზიისა და აბრეშუმის გზის მნიშვნელოვან სავაჭრო ზონად. სახელმწიფო ინვესტორს გრძელვადიანი იჯარით გადასცემს 1000 ჰექტარ

მიწის ნაკვეთს და იგი უზრუნველჰყოფს პორტთან დამაკავშირებელი გზისა და რკინიგზის მშენებლობას.[40]

- **ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალი**. მაგისტრალი ოფიციალურად 2017 წლის 30 ოქტომბერს გაიხსნა და მისი სიგრძე 846 კილომეტრია, საქართველოს ტერიტორიაზე 263 კილომეტრი გადის. მაგისტრალს 3 მილიონზე მეტი მგზავრის და 17 მილიონი ტონა ტვირთის გადაზიდვა შეეძლება. იგი სამი ქვეყნის დამაკავშირებელ ხიდს წარმოადგენს, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკისთვის და წინაპლანზე წამოსწევს რეგიონში ჩვენი ქვეყნის როლს. მაგისტრალის მშენებლობისას განხორციელებული ინვესტიციების ჯამური მოცულობა 600 მლნ აშშ დოლარიაა და უდიდეს ნაწილს აზერბაიჯანის მხარე აფინანსებს. ქართულ მხარეს რკინიგზის მონაკვეთზე 2500 ადამიანის დასაქმება შეუძლია.[41]
- **ბილტმორ თბილისი.** Millennium Hotels & Resorts-ის "ბილტმორის კოლექციის" ნაწილია და 32 სართულიან 5 ვარსკვლავიან სასტუმროს წარმოადგენს. პროექტში 140 მილიონი დოლარის ინვესტიციაა ჩადებული.[42]

ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი. 1992 წელს დაარსდა და იგი ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების განვითარებად სამოქალაქო საზოგადოებას აფინანსებს. ფონდის მიზანი სამოქალაქო საზოგადოების ხელშეწყობაა. ევრაზიის განვითარების ფონდისა, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და სხვა კერძო და სახელმწიფო დონორი ორგანიზაციების თანამშრომლობის შედეგად 2007 წლამდე სამხრეთ კავკასიაში 1 700 გრანტი თუ პროგრამა დაფინანსდა ჯამურად დაახლოებით 70 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიციით.[43]

საქართველოს ინდუსტრიული განვითარების ჯგუფი-GIDG. ჯგუფის მიზანი საქართველოს ეკონომიკური გრძელვადიანი და მდგრადი განვითარების ხელშეწყობაა, რასაც იგი ეკონომიკის დივერსიფიკაციის გზით ახორციელებს. სახელმწიფო და კერძო

[40] „ანაკლიის განვითარების კონსორციუმი“ - http://anakliadevelopment.com/
[41] https://ady.az/en/read/index/8/43#
[42] https://www.millenniumhotels.com/en/tbilisi/
[43] https://idfi.ge/ge/partners/view/5

სექტორთა თანამშრომლობა და ახალი ეკონომიკური საქმიანობის დასანერგად ვერტიკალური ინტეგრაციის უზრუნველყოფა ჯგუფის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს წარმოადგენს.

USAID REAP. უნიკალური პროგრამაა, რომელიც სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის აღდგენას ისახავს მიზნად - სოფლის მეურნეობის ახალი საწარმოების გასხნისა და არსებულის გაძლიერების მეშვეობით. პროგრამის მეშვეობით ხდება აგრობიზნესში დასაქმებული იმ მეწარმეების გამოვლენა, რომელთაც ბიზნეს იდეებთან ერთად ინვესტირების სურვილიც გააჩნიათ.

TS ფონდი. 2015 წელს დაარსდა და მისი მიზანი ქვეყანაში უმაღლესი და პროფესიული განათლების სისტემის გაუმჯობესებაა. ფონდი ნიჭიერ სტუდენტთა წახალისებასა და სასწავლო ლაბორატორიების განახლებას ახდენს. სხვადასხვა ბიზნეს სექტორისა და პრორიტეტული დარგების ახალგაზრდა კადრებით უზრუნველყოფა ფონდის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს.

კაპიტოლ მენეჯმენტი მიზანად ისახავს ბიზნესის ახალი შესაძლებლობების გამოვლენას, სტარტაპებისა და მოქმედი კომპანიების მართვას და მნიშვნელოვანი ცვლილებების დროს მათ კრიზისიდან გამოყვანას.

"Green Capital Partners" აფინანსებს მცირე და საშუალო ბიზნესს და ფოკუსირებულია საქართველოს, შავი და კასპიის ზღვის ეკონომიკურ ბაზარზე. კომპანია მსხვილ ორგანიზაციებს სტრატეგიული პარტნიორის მოძიებაში მნიშვნელოვან დახმარებას უწევს.[44]

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და ქვეყნის საინვესტიციო პოტენციალის სრულყოფილი ათვისება ნებისმიერი სახელმწიფოს ერთ-ერთ მთავარ საზრუნავს უნდა წარმოადგენდეს. იმისთვის, რომ მომდევნო ათწლეულში საქართველომ მაღალ ეკონომიკურ ზრდას მიაღწიოს, უცხოური კაპიტალის მოზიდვის პარალელურად უნდა განხორციელდეს შიდა (სამამულო) ინვესტიციების სტიმულირებისა და ხელშეწყობის ღონისძიებები.

სტარტაპებისა და საინვესტიციო ფონდების საქმიანობის გააქტიურება ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას. როგორც ვხედავთ, ამ კუთხით საქართველოს

[44] http://startup.ge

მხრიდან არაერთი ნაბიჯი გადაიდგა და სახელმწიფო აქტიურად ახორციელებს საინვესტიციო აქტივობის სტიმულირებისა და ერთიანი მიმზიდველი საინვესტიცო ეკოსისტემის ჩამოყალიბებისკენ მიმართულ კომპლექსულ ღონისძიებებს. რაც საბოლოო ჯამში, დადებითად აისახება ქვეყნის საერთაშორისო რეპუტაციაზე.

დასკვნა

სამაგისტრო ნაშრომში განხილულია ინვესტიციების როლი ეროვნული წარმოების განვითარებასა და ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაში. შესწავლილ და გამოვლენილ იქნა საქართველოში საინვესტიციო აქტივობის განვითარების, როგორც ხელშემწყობი, ასევე შემაფერხებელი ფაქტორები.

ინვესტიციების მეშვეობით შესაძლებელი ხდება არსებული სოციალურ–ეკონომიკური პრობლემების აღმოფხვრა. იგი საზოგადოებრივი განვითარების დამატებით იმპულსს წარმოადგენს. რეციპიენტი ქვეყნისთვის ინვესტიციები საწარმოო საქმიანობის განახლებისა და კონკურენტუნარიანობის ზრდის ეფექტური საშუალებაა. საერთაშორისო ეკონომიკაში საქართველოს პოზიციების გაფართოებისა და გამყარებისთვის, აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან განისაზღვროს ეკონომიკის კონკრეტული დარგები და რეგიონები, რომლებიც ყველაზე მეტად საჭიროებენ ინვესტიციებს და დარგები, რომლებიც საექსპორტო პროდუქციის ფართომასშტაბიან წარმოებაზეა ორიენტირებული.

ინვესტორები ინვესტირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის საინვესტიციო გარემოს ეცნობიან, რომელიც მთელ რიგ ურთიერთდაკავშირებულ ფაქტორებს აერთიანებს.

დღესდღეობით, საქართველოს საინვესტიციო გარემო, როგორც შიდა ასევე გლობალური ბიზნესისა და უცხოელი ინვესტორებისთვის, საკმაოდ მიმზიდველია. საგადასახადო და საინვესტიციო კანონმდებლობა გასულ წლებთან შედარებით გაცილებით ლიბერალურია, ხოლო საერთაშორისო რეიტინგები და ინდექსები საქართველოს ბიზნეს გარემოს განვითარების ტენდენციას დადებითად აფასებენ.

სამაგისტრო ნაშრომში განალიზებულია ქვეყანაში უცხოური კაპიტალის უკონტროლო შემოდინების თანმხლები ნეგატიური ასპექტები, კერძოდ:

- შიდა ინვესტიციები ბაზრიდან გამოდევნა;
- მოსახლეობის შემოსავლების დიფერენციაციის გაძლიერება;
- რეციპიენტი ქვეყნის შიგა ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ინვესტიციების განმახორციელებელი ქვეყნის ჩარევა და სხვა.

საქართველოსათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საინვესტიციო ბაზრის ჩამოყალიბებასა და განვითარებას, რაც გულისხმობს ინვესტიციებთან დაკავშირებული კანონმდებლობის სრულყოფას და ხელშეწყობის ღონისძიებების ჩამოყალიბება-შესრულებას. აუცილებელია ქვეყანაში არსებობდეს მძლავრი ინსტიტუტები, სტაბილური საკანონმდებლო ბაზა და ბიზნესის ოპერირების კულტურა.

2017 წელს საქართველოში პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა რეკორდული მაჩვენებელი 1962.6 მლნ აშშ დოლარი დაფიქსირდა, ხოლო 2019 წლის წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებულმა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა მოცულობამ შეადგინა 1267.7 მლნ აშშ დოლარი. გასული წლების განმავლობაში საქართველოში განხოციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტატისტიკა მოწმობს, რომ უცხოელი ინვესტორებისათვის ყველაზე მიმზიდველი სექტორები იყო: ფინანსური სექტორი, ნავთობისა და გაზის მოპოვება, ენერგეტიკა, ტელეკომუნიკაციები და კვების მრეწველობა. აღნიშნული ადასტურებს იმას, რომ საერთაშორისო რეიტინგებით საქართველო ამ მაჩვენებლებით ბევრ ევროპულ ქვეყანას უსწრებდა და ამჟამად ბიზნესის საკეთებლად ერთ-ერთ მიმზიდველ საინვესტიციო გარემოს მქონე ქვეყნად ცხადდება.

საქართველოსთვის 2019 წელი საკმაოდ ნაყოფიერი აღმოჩნდა. ეკონომიკური თავისუფლების კუთხით ქვეყანამ მსოფლიოში მე-12 ადგილი დაიკავა, რაც ცხადია, განხორციელებული კომპლექსური რეფორმების შედეგია. 2019 წელს ეკონომიკურმა ზრდამ მოსალოდნელ მაჩვენებელს გადააჭარბა და 5.1% შეადგინა, ხოლო მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი მთლიანი შიდა პროდუქტის 5.1%-ს გაუტოლდა. გაიზარდა ბიუჯეტის შემოსავლები, სახელმწიფო კაპიტალურმა ინვესტიციებმა რეკორდულ მაჩვენებელს მთლიანი შიდა პროდუქტის 8%-ს მიაღწია.

ზემოთ ჩამოთვლილი პოზიტიური ეკონომიკური მაჩვენებლების მიუხედავად, გლობალური პანდემიით გამოწვეული შოკი აისახა საქართველოს ეკონომიკაზე, ისევე როგორც სრულიად მთელს მსოფლიოზე, რამაც გამოიწვია უამრავი ბიზნესისა და ინდუსტრიის ფუნქციონირების შეფერხება და ეკონომიკური სიტუაციის გაუარესება. უდავოდ აღნიშვნის ღირსია საქართველოს მთავრობის მზაობა და მობილიზაცია ვირუსთან ბრძოლის მიმართულებით, Covid 19 გავრცელების პრევენციის

პარალელურად, სახელმწიფო მოქალაქეების სოციალური მხარდაჭერის, მეწარმეების დახმარების, ეკონომიკის ხელშეწყობის ღონისძიებებს ახორციელებს. საერთაშორისო პარტნიორ ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობითა და ფინანსური ნაკადების მოზიდვით მთავრობა ცდილობს ახალი კორონავირუსის ნეგატიური ზეგავლენის შემსუბუქებას. ინფიცირების მინიმალური მაჩვენებელი და გატარებული ღონისძიებების ეფექტიანობა ქვეყანას ინვესტირების თვალსაზრისით კვლავაც მიმზიდველსს ხდის.

აღსანიშნავია სახელწიფოს როლი სტარტაპ ბიზნესისა ხელშეწყობისა და სტიმულირების მიმართულებით, ვინაიდან სტარტაპები საწარმოო სიმძლავრეთა ეფექტიანობის ამაღლებისა და მატერიალური და შრომითი დანახარჯების ეკონომიის საფუძველია. ქვეყნის ეკონომიკური ზრდისა და განვითარებისა უზრუნველსაყოფად აუცილებელია საინვესტიციო ფონდებისა და სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამების დანერგვა, ახალ ტექნოლოგიებზე ორიენტირებული პოლიტიკის შემუშავება. ამ მიმართულებით ჩვენს ქვეყანაში არაერთი სახელმწიფო პროგრამა გატარდა და მსხვილი, ადგილობრივი და საერთაშორისო ფონდები აქტიურად ახორციელებენ მასშტაბურ საინვესტიციო პროექტებს, იქმნება ახალი სამუშაო ადგილები, ხდება ადგილობრივი საინვესტიციო აქტივობის ხელშეწყობა და სტიმულირება.

იმისთვის, რომ ქვეყანაში საინვესტიციო საქმიანობის განვითარებისა და სრულყოფისთვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნას, აუცილებელია გაუმჯობესდეს საგადასახადო სისტემა. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ინვესტორთა ინტერესების დაცულობა, მათთვის ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის შეღავათიანი პირობების შეთავაზება, საინფორმაციო და ანალიტიკური ცენტრების განვითარება, რომლთა მეშვეობითაც რეგულარულად მოხდება საინვესტიციო საქმიანობის რეიტინგების მოძიება და შეფასებების გამოქვეყნება. უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პარალელურად, სახელმწიფომ უნდა გაატაროს შიდა ინვესტიციების ხელშეწყობასა და განვითარებაზე ორიენტირებული საინვესტიციო პოლიტიკა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბარათაშვილი ე., მაგრაქველიძე დ., „საქართველოში საინვესტიციო გარემოს სრულყოფის პრინციპები“, თბილისი, 2009;
2. გიორგაძე თ., „ინვესტიციური პროცესების ძირითადი ტენდეციები“; 2001
3. ერქომაიშვილი გ., ალუდაური დ. „მოგების გადასახადის ესტონური მოდელის შედეგები საქართველოში“, ჟურნალი „გლობალიზაცია და ბიზნესი” N6/2018
4. ლეიაშვილი პ. „ეკონომიქსი“ 2003წ.
5. ოქროცვარიძე ა., ლაჭყეპიანი თ., ოქროცვარიძე ლ. “მსოფლიო ეკონომიკა“, საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი, თბილისი; 2010
6. საქართველოს კანონი „უცხოური ინვესტიციების შესახებ“ თბ., 1995;
7. საქართველოს კანონი “საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ” თბ., 1996;
8. საქართველოს კანონი „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ“თბ., 2002;
9. საქართველოს კანონი “ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ”, თბ., 2006;
10. საქართველოს კანონი “სახელმწიფო ქონების შესახებ”, თბ., 2010;
11. საქართველოს მთავრობა. „ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2014-2017 წლებისათვის“ (გადამუშავებული ვარიანტი). თბ., 2013;
12. საქართველოს მთავრობის დადგენილება N400 საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020“დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე;
13. „საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია“ - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2018 წ.
14. სიხარულიძე დ., „უცხოური ინვესტიციების როლი გარდამავალ ეკონომიკაში (საქართველოს მაგალითზე)“, ეკ.მეცნ.კანდ-ტის ხარისხის მოსაპოვლებად წარდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 2005;
15. სიხარულიძე დ., ჭარაია ვ., „უცხოური პირდაპირი ინვესტიციები: თეორია და საქართველოს გამოცდილება“, თბ., 2018 წ.

16. ქინქლაძე რ., ჩიტალაძე ქ. „ინოვაციური პროცესები საქართველოში - ანალიზი და ტენდენციები“ გვ 412-419
17. ქოქიაური ლ., „საინვესტიციო მენეჯმენტი და პოლიტიკა“, 2008 წ.
18. ქოქიაური ლ., „ საინვესტიციო საქმე“ 2010 წ.
19. ხურცია ლ., საინვესტიციო საქმიანობის საფინანსო-საკრედიტო რეგულირება საქართველოში. თბ., 2006;
20. Covid 19-ის წინააღმდეგ საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების ანგარიში
21. “Innovation Policy - A Guide for Developing Countries” – The World Bank, Washington DC, 2010
22. Matthias Doepke, Andreas Lehnert, Andrew W. Sellgren – “Macroeconomics” – Northwestern University, Sept.1999;
23. United Nations Conference on Trade and Development – UNCTAD –World Investment Report 2019
24. Yuko Kinoshita “The location determinants of foreign direct investment in transition economies” Department of Economics, Hunter College, City University of New York, 2002
25. Шарп У., Александр Б., Бэйл Дж.Инвестиции. М.: ИНФРА-М, 1997
26. ანაკლიის განვითარების კონსორციუმი - http://anakliadevelopment.com
27. თანაინვესტირების ფონდი - http://gcfund.ge/
28. მსოფლიო ბანკი -www.worldbank.org
29. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო - www.economy.ge;
30. საქართველოს ეროვნული ბანკი - www.nbg.gov.ge ;
31. საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო -https://gita.gov.ge/
32. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა -www.nplg.gov.ge;
33. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - www.geostat.ge ;
34. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - www.mof.ge;
35. სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო - http://www.nasp.gov.ge/
36. სსიპ „აწარმოე საქართველოში“ - www.enterprisegeorgia.gov.ge
37. სტარტაპ საქართველო - startup.gov.ge

38. ქართული დიასპორა - http://gda.ge/

39. Business Media Georgia - https://bm.ge/

40. Doing Business in Georgia - www.doingbusiness.org

41. https://forbes.ge/

42. Global Innovation Index -2019 - www.globalinnovationindex.org/gii-2019-report

43. 2020 Index of Economic Freedom - https://www.heritage.org/index/

დანართი

დანართი N1 საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს/ GITA მიერ დაფინანსებული სტარტაპები

პროექტის სახელწოდება	პროექტი	სფერო	დაფინანსება	დაარსების წელი	დასაქმებული
VADAC	სააგენტოს თანადაფინანსების გრანტების პროგრამა		90 000	2019	4
QVEVRY	სააგენტოს თანადაფინანსების გრანტების პროგრამა		159 000	2019	4
Eventals	სააგენტოს თანადაფინანსების საგრანტო პროგრამა		100 000	2019	4
Anima Chatbotics	სააგენტოს თანადაფინანსების გრანტების პროგრამა		100 000	2018	8
LiveCaller	QITCOM 2019, Touch Summit 2019, EuroAsian Startup Awards National Winners in Startup of the Year/Best Newcomer,Startup Wise Guys Pre-Accelerator, SeedstarsTbilisi Finalists, GIST Macedonia Finalists		100 000	2018	7
Phubber	ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს თანადაფინანსების გრანტების პროგრამა		100 000	2018	7

WELI	თანადაფინანსების საგრანტო პროგრამა	განათლება	190 000	2017	6
Spy Recipe	თანადაფინანსების საგრანტო პროგრამა		100 000	2017	-
DOERS	თანადაფინანსების საგრანტო პროგრამა		250 000	2016	5
CLPHUB			-	2017	-
TRAKTOR			-	2017	9
UR APP		VR	-	2018	-
Mostat - Alien Green	თანადაფინანსების საგრანტო პროგრამა	VR	60 000	2016	-
Hostel Pro	თანადაფინანსების საგრანტო პროგრამა		100 000	2016	-
TTM	თანადაფინანსების საგრანტო პროგრამა	SMART მოწყობილობები	110 810	2018	4
QuickCash AI	სტარტაპ საქართველო		100 000	2016	7
WELY	თანადაფინანსების საგრანტო პროგრამა		100 000	2018	5
Mydoc.chat	თანადაფინანსების საგრანტო პროგრამა	მედიცინა	100 000	2019	7
Elven Technologies	თანადაფინანსების საგრანტო პროგრამა	უსაფრთხოება	100 000	2019	4
IOGH Ltd	თანადაფინანსების საგრანტო პროგრამა	VR	100 000	2018	3
Optio Discovery	თანადაფინანსების საგრანტო პროგრამა	VR	570 000	2016	7
VRex Immersive	სტარტაპ საქართველო	VR	200 000	2016	4
Hand 4 Help	სტარტაპ საქართველო	VR	100 000	2016	3

EDVEX / ედვექსი	სტარტაპ საქართველო		100 000	2016	3
Lingwing.com / ლინგვინგი	სტარტაპ საქართველო	განათლება	100 000	2016	12
CNICK•ჯნიკი	სტარტაპ საქართველო	SMART მოწყობილობები	100 000	2016	5

წყარო: https://gita.gov.ge/geo/startups

დანართი N2 სტარტაპ საქართველოს მიერ დაფინანსებული პროექტები:

პროექტის სახელწოდება	პროექტის ბიუჯეტი	სტარტაპ საქართველოს მხრიდან დაფინანსება	ინვესტიციის გამოსყიდვის ვადა	დასაქმებულთა რაოდენობა	განხორციელების ადგილი	წელი
Georgian Toy Factory	74 200	66 700	6	4	თბილისი	2016
მიკრობოსტნეულის სათბური	80 000	72 000	5	4	თბილისი	2016
Abiturienti.ge	69 000	62 000	5	11	თბილისი	2016
ინოვაციური ტექნოლოგიებით დაფასოებული ქართული ნატურალური ჩაი	112 000	100 000	5	3	ოზურგეთი	2016
აიმედია ჰაბი	80 000	70 000	5	-	თბილისი	2016
IRC	115 000	100 000	7	-	თბილისი	2016
აგროპარკი	43 000	38 000	5	4	თბილისი	2016
EduRoad	120 000	100 000	5	7	თბილისი	2016
BOS-ბიზნეს საოპერაციო სისტემების ელ. პლატფორმა	110 000	99 000	5	9	თბილისი	2016
Wingo	108 900	98 000	5	10	თბილისი	2016
ნანოტექნოლოგიებით მიღებული აზოტშემცველი სეოლიტური სასუქის	111 500	100 000	5	8	შიდა ქართლი	2016

წარმოება						
ინოვაციური ტექნოლოგიით დამუშავებული კერამიკის ნაკეთობათა წარმოება	36 200	32 500	7	2	თბილისი	2016
Tripplanner	45 600	32 000	5	5	საქართველო	2016
ვინტი	68 400	61 560	5	7	თბილისი	2016
კლინიკა ონლაინ	80 000	70 000	5	22	თბილისი	2016
მშენებლობა კონსტრუქციული სენდვიჩ პანელებით	100 000	90 000	5	8	ქუთაისი	2016
Audio Guide Georgia	111,112	100 000	5	14	თბილისი	2016
Fly Wash Georgia	22 500	20 000	5	4	თბილისი	2016
Eco Build Georgia	177 200	100 000	7	11	თბილისი	2016
CAROHUB	125 000	100 000	5	5	თბილისი	2016
ავტომობილის პარკირება ვერტიკალურ სივრცეში	100 000	90 000	5	8	თბილისი	2016
ორგანულ-მინერალური სასუქების წარმოება	96 000	100 000	5	7	საგარეჯო	2016
ინოვაციური დეკორატიული ფილების და კერამიკული სივრცული აგურის წარმოება	100 000	90 000	4	3	ოზურგეთი	2016
ვაშლის ჩიფსების წარმოება	110 000	90 0000	5	7	გორი	2016
ინოვაციური დიზაინის დეკორატიული	44 500	40 000	4	2	რუსთავი	2016

აგურის წარმოება						
მეორადი საბურავების გადამუშავება	130 000	100 000	-	-	თბილისი	2017
შესქელებული რძის წარმოება ნატურალური ინგრედიენტებით	111 200	100 000	-	-	თბილისი	2017
სატვირთო ავტომობილების მძღოლების და ვიზიტორების პირადი ადვოკატი	105 500	95 000	-	-	თბილისი	2017
ღვინომასალის გადამამუშავებელი ნაკადური ტიპის მობილური დანადგარი	50 000	45 000	-	-	თბილისი	2017
ფეხსაცმლის კალაპოტების წარმოება	100 000	90 000	-	-	თბილისი	2017
სივრცის დამზოგავი ავეჯის წარმოება	106 000	94 000	-	-	თბილისი	2017
ლატექსით დაფარული სამუშაო ხელთათმანების წარმოება საქართველოში	75 400	67 800	-	-	თბილისი	2017
ვეჯი პრესი - Veggie Press	50 000	45 000		-	თბილისი	2017
ღვინის ჩაის წარმოება	125 000	100 000	-	-	კახეთი	2017
სამედიცინო შპადელების წარმოება	112 000	100 000	-	-	თბილისი	2017
ხის მერქნის	105 500	93 500	-	-	თბილისი	2017

ზედაპირის დაფარვა პოლიმერული მასალით ელექტრო-სტატიკური მეთოდით						
Gotrip	45 000	40 000	-	-	თბილისი	2017
insuranceshop.ge	97 500	86 000	-	-	თბილისი	2017
ფელამუშის კუბების წარმოება	94 000	84 000	-	-	კახეთი	2017
Smart Monitoring - GPS	76 000	66 000	-	-	თბილისი	2017
ჩემი საქართველო	110 000	99 000	-	-	თბილისი	2017
HR HUB	23 000	20 700	-	-	თბილისი	2017
ხელოვნური საფრენი აპარატების დრონების საწარმო	115 000	100 000	-	-	თბილისი	2017
დესკომი	115 000	100 000	-	-	თბილისი	2017
პოლისტიროლ-ბეტონის ლეგო ბლოკი	98 000	68 000	-	-	თბილისი	2017
Saturn.ge	100 000	90 000	5	-	თბილისი	2017
Holosseum-ჰოლოგრამული მუზეუმი	226 000	100 000	-	-	თბილისი	2017
WeHost	71 000	60 000	-	-	თბილისი	2017
ჰოლო	100 000	90 000	-	-	თბილისი	2018
ციფრული ლაბორატორია	114 500	86 000	-	-	თბილისი	2018
სამედიცინო ტექსტილის წარმოება	-	100 000	-	-	თბილისი	2020

წყარო: http://startup.gov.ge/geo/winners